


დანართი C2 პასუხები ESIA ანგარიშის საჯარო განხილვის
ეტაპზე მიღებულ შენიშვნებზე



სარჩევი

1	შესავალი.....	1
2	საჯარო განხილვის პროცესი.....	2
	2.1 მიმოხილვა.....	2
	2.2 შენიშვნების მიწოდების მექანიზმი.....	2
	2.3 შენიშვნების გათვალისწინება.....	2
3	დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა.....	4
	3.1 ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები.....	4
	3.2 სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები.....	5
	3.3 სხვა შენიშვნები.....	6
4	დეტალური პასუხები დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნებზე.....	7
	4.1 ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებული შენიშვნები.....	8
	4.2 რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან მიღებული შენიშვნები.....	34
	4.3 დამოუკიდებელი ორგანიზაციები.....	36
	4.4 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული დასახლებები.....	42
	4.4.1 საკითხის რეზიუმე: ეკოლოგიური ზემოქმედებები.....	42
	4.4.2 საკითხის რეზიუმე: კონსულტაციები.....	43
	4.4.3 საკითხის რეზიუმე: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება - დასაქმების შესაძლებლობები.....	44
	4.4.4 საკითხის რეზიუმე: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება - შერჩევის პროცესი.....	45
	4.4.5 საკითხის რეზიუმე: საქართველოს სარგებელი.....	46
	4.4.6 საკითხის რეზიუმე: ინფრასტრუქტურა – CSG2 საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზა.....	46
	4.4.7 საკითხის რეზიუმე: მიწა და შემოსავლები – საარსებო საშუალებების მოშლა.....	47
	4.4.8 საკითხის რეზიუმე: მიწა და შემოსავლები – კომპენსაცია.....	49
	4.4.9 საკითხის რეზიუმე: ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება.....	49
	4.4.10 საკითხის რეზიუმე: ზოგადი გამომხაურება.....	51
	4.4.11 საკითხის რეზიუმე: არსებული ბთჯ და სკმ მილსადენების ექსპლუატაცია.....	51
დანართი 1:	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობიდან მიღებული შენიშვნების სია.....	53
დანართი 2:	დაცული ტერიტორიების სააგენტოს პასუხი.....	57

ცხრილები

ცხრილი 4-1:	ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - ქვეყნის ხელისუფლების ორგანოები.....	8
ცხრილი 4-2:	ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები – რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.....	34
ცხრილი 4-3:	ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - დამოუკიდებელი ორგანიზაციები	36
ცხრილი 4-4:	ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები – პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობა.....	53

სურათები

სურათი 3-1:	დაინტერესებული მხარეების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი	4
სურათი 3-2:	დაინტერესებული მხარეების მიერ სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი	5
სურათი 3-3:	დაინტერესებული მხარეების მიერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი	6
სურათი 4-1:	საკითხზე გაცემული პასუხის რეზიუმეს ფორმატი	42

1 შესავალი

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის (SCPX) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების (ESIA) ანგარიში დაექვემდებარა 60-დღიან საჯარო განხილვის პერიოდს, სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) პროექტის შესახებ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების (HGA) მოთხოვნის შესაბამისად. საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით, განხორციელდა საჯარო განხილვისათვის მომზადებული ESIA ანგარიშის პროექტის (2012 წლის მაისი) გადახედვა, რომლის საფუძველზეც შედგენილი იქნა SCPX ESIA ანგარიშის საბოლოო ვერსია. უკანასკნელი წარედგინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

წინამდებარე დანართში მოცემულია დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა და ზოგადი ანალიზი; აგრეთვე მოყვანილია შენიშვნებზე გაცემული პასუხების შეჯამება და მითითებულია ყველა ცვლილება, რომელიც შეტანილი იქნა ESIA ანგარიშის პროექტში შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

2 საჯარო განხილვის პროცესი

2.1 მიმოხილვა

ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის ეტაპი, რომელიც უფრო დეტალურადაა აღწერილი მე-9 თავში (კონსულტაციების პროცესი) და დანართ C1-ში (საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა), მოიცავდა შემდეგს:

- ESIA ანგარიშის პროექტის (ქართულ ენაზე), არატექნიკური რეზიუმესა (NTS - ქართულ და რუსულ ენებზე) და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებული ბროშურის (ქართულ და რუსულ ენებზე) საჯარო განხილვას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ პუნქტებში თბილისსა და საპროექტო ტერიტორიების სიახლოვეს მდებარე სხვა დასახლებულ პუნქტებში. ESIA ანგარიშის პროექტის ასლები, დანართების ჩათვლით, ხელმისაწვდომი იყო გადასახედად; გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ თან წაეღოთ არატექნიკური რეზიუმესა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებული ბროშურის დამატებითი ასლები
- ESIA ანგარიშის პროექტისა და არატექნიკური რეზიუმეს ინგლისური და ქართული ვერსიების გამოქვეყნებას BP-ის ვებ-გვერდებზე
- ოთხ საჯარო შეხვედრას.

2.2 შენიშვნების მიწოდების მექანიზმი

პროექტისათვის ESIA ანგარიშის პროექტის შესახებ შენიშვნების / შეკითხვების მიწოდება შესაძლებელი იყო შემდეგი საშუალებებით (უფრო დეტალური ინფორმაცია მოყვანილია მე-9 თავში და დანართ C1-ში):

- წერილობითი შენიშვნების / შეკითხვების გაგზავნა BP საქართველოს ოფისში
- შენიშვნების / შეკითხვების მიწოდება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით
- შენიშვნების / შეკითხვების შევსებული ფორმების მიწოდება BP-ის თანამშრომლებისათვის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებში ან ამ ფორმების წარდგენა საჯარო შეხვედრებზე
- შენიშვნების გამოთქმა / შეკითხვების დასმა საჯარო შეხვედრებზე
- შენიშვნების / შეკითხვების ფორმების ელექტრონული ვერსიის შევსება; აღნიშნული ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელი იყო ვებ-გვერდიდან.

მიღებული შენიშვნების დიდი ნაწილი (44%) წარდგენილი იყო წერილობით, შენიშვნების 35% გამოითქვა საჯარო შეხვედრებზე, ხოლო 21% მიღებული იქნა შევსებული ფორმების სახით. შენიშვნები არ მოუწოდებიათ ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით / ვებ-გვერდის მეშვეობით.

2.3 შენიშვნების გათვალისწინება

თითოეული მიღებული შენიშვნა შეტანილი იქნა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნების მონაცემთა ბაზაში; მონაცემთა ბაზაში აგრეთვე შეყვანილი იქნა ინფორმაცია შენიშვნის გამომთქმელი დაინტერესებული მხარისა და შენიშვნის მიწოდების ფორმის შესახებ.


თითოეულ შენიშვნას მიენიჭა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი და კატეგორია წინასწარ განსაზღვრული სფეროების / თემების სიის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავდა პროექტის ან ESIA ანგარიშის საკითხს, რომელსაც უკავშირდებოდა გამოთქმული შენიშვნა. მიღებული შენიშვნები ხშირად რამდენიმე საკითხს ეხებოდა; ასეთ შემთხვევაში შენიშვნას ენიჭებოდა შესაბამისი საკითხის პირველადი, მეორადი და, საჭიროებისამებრ, მესამე ხარისხის კატეგორია.

შემდეგ ეტაპზე ხდებოდა შენიშვნების დახარისხება საკითხების მიხედვით და მზადდებოდა პასუხი თითოეულ შენიშვნაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული იქნა რამდენიმე მსგავსი შენიშვნა, მზადდებოდა შესაბამისი საკითხის შეჯამება / რეზიუმე, სადაც განხილული იყო მიღებული შენიშვნები და გაცემული იქნა შემაჯამებელი პასუხი. სადაც შესაძლებელი იყო, პასუხში აგრეთვე აღწერილია შენიშვნაზე რეაგირების / დასმული საკითხის მოგვარების გზა.

3 დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა

მიღებული შენიშვნების შეჯამება სხვადასხვა თემატიკის მიხედვით ქვემოთაა მოცემული. ინდივიდუალური შენიშვნებისა და პასუხების სია, ESIA ანგარიშის იმ თავების მითითებით, რომელთა გადახედვა მოხდა ამ შენიშვნების გათვალისწინებით, მოყვანილია მე-4 თავში.

3.1 ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები




სურათი 3-1: დაინტერესებული მხარეების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნების უდიდესი ნაწილი მოგვაწოდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები უმთავრესად კონკრეტული არ იყო; მათი ძირითადი მიზანი იყო იმის გარკვევა, გამოიწვევდა თუ არა პროექტით დაგეგმილი საქმიანობა ეკოლოგიურ ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული შენიშვნები განხილული იქნა როგორც ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები (იხ. თავი 3.3).

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები აგრეთვე ეხებოდა ეკოლოგიური ზემოქმედების ტიპების შეფასებას, ფონური ინფორმაციის ადექვატურობას ზოგიერთ ეკოლოგიურ ასპექტთან მიმართებაში და საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან დაკავშირებით შემოთავაზებულ შემარბილებელ ზომებს.

წყლის რესურსებთან დაკავშირებული შენიშვნები უმთავრესად ეხებოდა ფონურ მონაცემებს სენსიტიური მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების შესახებ.

3.2 სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები



სურათი 3-2: დაინტერესებული მხარეების მიერ სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

სოციო-ეკონომიკური საკითხების უდიდესი ნაწილი დააყენეს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების წევრებმა. შენიშვნების უმეტესობა (მიღებული შენიშვნების 19%) ეხებოდა პროექტის მიერ შექმნილ დასაქმების შესაძლებლობებს, სამსახურში აყვანის პროცესს და შეშფოთების გამოხატვას ადგილობრივი მაცხოვრებლების ნაცვლად უცხოელი მოქალაქეების უპირატეს დაქირავებასთან დაკავშირებით.


ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად დაისვა წალკის საჯარო შეხვედრის მონაწილეთა მიერ. შეკითხვები ეხებოდა CSG2 საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზის მარშრუტის შერჩევის დასაბუთებას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის გზებით სარგებლობის უზრუნველყოფასა და პროექტის მიერ ადგილობრივი დასახლებების გაზით მომარაგების შესაძლებლობას.

მიწასა და საარსებო საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები მოიცავდა მოთხოვნას მიწის ნაკვეთებსა და მოსავალზე კომპენსაციის გაანგარიშების, სახელმწიფო, მუნიციპალურ და თემების საკუთრებაში და არაოფიციალურ სარგებლობაში არსებული მიწის შეძენის პროცესის განმარტებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთმა რესპონდენტმა დააყენა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც ეხება მილსადენის სიახლოვეს ცხოვრებასთან დაკავშირებული პოტენციურ რისკებს. გარდა ამისა, ორმა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა შეშფოთება საპროექტო ტერიტორიაზე ჯილბახთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებთან მიმართებაში და დაინტერესდა ამ რისკების შესამცირებლად პროექტის მიერ განხორციელებული ზომებით.

3.3 სხვა შენიშვნები

საჯარო განხილვის პროცესში აგრეთვე გამოითქვა ESIA-ის სხვა ნაწილებსა და, უფრო ზოგადად, პროექტის დამტკიცების პროცესთან დაკავშირებული შენიშვნები. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ გამოთქმული ასეთი შენიშვნების უმეტესობა წარმოადგენდა ზოგად შეკითხვას შემოთავაზებული პროექტით გამოწვეული მოსალოდნელი ეკოლოგიური ზემოქმედების დონის შესახებ. აღნიშნული შენიშვნები, ძირითადად, მოწოდებული იყო შევსებული ფორმებით; გაურკვეველია, ქონდათ თუ არა რესპონდენტებს საჯარო განხილვისათვის მომზადებულ დოკუმენტაციის გაცნობის ან საჯარო შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ საჯარო შეხვედრებზე ასეთი ხასიათის ზოგადი შეკითხვები საერთოდ არ დასმულა. ზემოაღნიშნული შენიშვნები კლასიფიცირდა, როგორც ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული კომენტარები.



სურათი 3-3: დაინტერესებული მხარეების მიერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული სხვა შენიშვნები ეხებოდა მდინარეთა გადაკვეთების მეთოდოლოგიას, მოსალოდნელ ზემოქმედებებსა და ბუნებრივი მოვლენებისაგან მილსადენის დასაცავად შემოთავაზებულ შემარბილებელ ზომებს, არსებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალის გამოყენებასა და უფრო სქელკედლიანი მილების გამოყენებას სხვა მილსადენების გადაკვეთებზე.

გარემოს დაცვის სამინისტროდან მიღებული იქნა შენიშვნები ნებართვის მოპოვების პროცედურასთან დაკავშირებით. პროექტის აღწერასთან მიმართებაში საჯარო შეხვედრებზე დაისვა რამდენიმე შეკითხვა CSG2 საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზის შემოთავაზებული მარშრუტის, მილსადენის კოროზიისაგან დაცვისა და რუსთავში პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მასშტაბის შესახებ.

სხვა შენიშვნები ეხებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიურ (SCP) მილსადენებს, საჯარო განხილვისა და კონსულტაციის ეტაპს ან უფრო ზოგად მოსაზრებებს პროექტთან დაკავშირებით.

4 დეტალური პასუხები დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნებზე

თავებში 4.1– 4.3 მოყვანილია ყველა მიღებული ინდივიდუალური შენიშვნა, შენიშვნის ავტორი და კონკრეტული პასუხი შენიშვნაზე, რომელიც გამოთქვა ნაციონალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ან მათმა წარმომადგენლებმა და მესამე მხარეებმა.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებიდან მიღებული შენიშვნები ეხებოდა რამდენიმე საერთო თემას, რომლებიც დაჯგუფდა ერთი საკითხის ქვეშ და შესაბამისად, გაეცა საერთო ფორმატის პასუხი (თავი 4.4).

ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებთან მიმართებაში, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ თავებსა და ცხრილებს, გასათვალისწინებელია, რომ საბოლოო ვერსიის ნუმერაცია შეიძლება განსხვავებული იყოს. ზემოაღნიშნული იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შენიშვნები და პასუხები განიხილავს ანგარიშის პროექტის კონკრეტულ ცხრილს, რომელიც განახლებული სახითაა მოცემული ანგარიშის საბოლოო ვერსიაში. სიზუსტისათვის, შენიშვნები შენარჩუნდა იმ ფორმით, როგორც მიღებული იყო, ხოლო პასუხი განიხილავს მოცემულ კონკრეტულ შენიშვნას. ცხრილი 4-1-ის სვეტში - „ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი“ მითითებულია ანგარიშის საბოლოო ვარიანტის შესაბამისი თავი და ცხრილის ნომერი.

4.1 ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებული შენიშვნები

ცხრილი 4-1:ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - ქვეყნის ხელისუფლების ორგანოები

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო			
1. ESIA ანგარიშის თავ 1.6-ში მითითებულია, რომ „ყველა ღონეა მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ESIA ანგარიშის ქართული თარგმანი ზუსტად შეესაბამებოდეს ინგლისური ორიგინალის მიზანს და შინაარსს. ამ განსხვავებული ენობრივი ვერსიების რომელიმე დებულების ან შესაბამისი თარგმანის განმარტებისას წარმოქმნილი ნებისმიერი შეუსაბამობისა თუ უთანხმოების შემთხვევაში, ინგლისურ ვერსიას მიენიჭება განმსაზღვრელი, უპირატესი დოკუმენტის მნიშვნელობა“. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი ESIA ანგარიშის ქართული ვერსია და ეკოლოგიური ექსპერტიზაც ჩაუტარდა ქართულ ვერსიას. აქედან გამომდინარე, ინგლისური ვერსია ვერ იქნება უპირატესი.	205	ეს შენიშვნა მიღებულია და, როგორც ეს განცხადებულია ESIA ანგარიშის პროექტში - „ყველა ღონეა მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ESIA ანგარიშის ქართული თარგმანი ზუსტად შეესაბამებოდეს ინგლისური ორიგინალის მიზანს და შინაარსს.“ პროექტმა ზემოაღნიშნული ტექსტი შემდეგნაირად შეცვალა: „ყველა ღონეა მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ESIA ანგარიშის ქართული თარგმანი ზუსტად შეესაბამებოდეს ინგლისური ორიგინალის მიზანს და შინაარსს. ამ განსხვავებული ენობრივი ვერსიების რომელიმე დებულების ან შესაბამისი თარგმანის განმარტებისას წარმოქმნილი ნებისმიერი შეუსაბამობისა თუ უთანხმოების შემთხვევაში, ტექსტის შესაბამისი ნაწილი დაექვემდებარება შემდგომ განხილვასა და შეთანხმებას საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან.“	1.6
2. თქვენს მიერ წარმოდგენილი GIS კოორდინატების მიხედვით, პროექტით იკვეთება ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი. ESIA ანგარიშის თანახმად კი „SCPX-ის სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი, რომელიც მდებარეობს შემოთავაზებული CSG2-დან 10 კმ-ში“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი უნდა დაზუსტდეს და შეთანხმდეს გარემოს დაცვის	206	შიდა გადამოწმების შედეგად პროექტმა დაადასტურა, რომ ESIA ანგარიშის საჯარო განხილვისათვის მომზადებულ პროექტში მოცემული კოორდინატების თანახმად, CSG2 საკომპრესორო სადგურის უბანი ან საპროექტო ტერიტორიის რომელიმე სხვა ნაწილი არ ხვდება ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის საზღვრებში. პროექტმა შეკითხვით მიმართა დაცული ტერიტორიების სააგენტოს, რომელმაც დაადასტურა, რომ SCPX-ის საპროექტო ტერიტორია არ	-

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა დაერთოს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე შემოტანილ დოკუმენტაციას.		კვეთს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილს (იხ. პასუხი, რომელიც მოცემულია დანართი 2-ის C2-ში.	
3. ESIA ანგარიშის თავ 7.2-ში მოცემულია, რომ „CSG2 სადგურის შემთხვევაში ასევე გათვალისწინებული იქნა გეოლოგიური კვლევის მონაცემები, რომლებიც შეგროვდა კომპანია „ენერგოტრანს“-ის სამუშაო პროექტისათვის. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 500 კვტ ელექტროგადამცემი ხაზი „ვარძიის“ მონაკვეთისათვის მიმართულების შეცვლას CSG2 სადგურის გვერდის ასავლელად“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს კომპანია „ენერგოტრანს“-თან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.	207	SCPX პროექტმა დააფინანსა „ენერგოტრანს“-ის გადამცემი ხაზის მიმართულების შესაცვლელად საჭირო გეოლოგიური კვლევები. ამის გათვალისწინებით, გეოლოგიური კვლევებით შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა CSG2 სადგურის ფონური ეკოლოგიური მდგომარეობის აღწერაში. მიმართულების შეცვლასთან დაკავშირებით მომზადდა ცალკე ESIA, რომელიც „ენერგოტრანს“-მა ცალკე წარუდგინა გარემოს დაცვის სამინისტროს. ამონარიდი დოკუმენტიდან, რომელიც ადასტურებს „ენერგოტრანს“-თან შეთანხმებას, მოყვანილია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად წარდგენილ დოკუმენტაციის პაკეტში.	-
4. ESIA ანგარიშის თავი 7.2.5-ის თანახმად, „რუსთავის, წალკა-ბედენისა და ვალეს რღვევები განიხილება, როგორც პოტენციურად აქტიური. რიხტერის შკალით აქ 6-ბალიანი მიწისძვრებია დაფიქსირებული“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწორებას, რადგან მითითებული ზონა საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით განეკუთვნება 7-8-ბალიან სეისმურ ზონას.	208	პროექტმა ჩაასწორა მითითებული წინადადება მიღებული შენიშვნის შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორიის 7-8-ბალიან სეისმურ ზონაში მდებარეობის ასახვის მიზნით.	7.2.5

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>5. გადაკვეთების ცხრილი 5-4 სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი. მასში გამოტოვებულია მდ. აჯის, რამდენიმე მშრალი ხევისა და ღარტაფის გადაკვეთა. ამასთანავე, ESIA ანგარიშში განხილული უნდა იყოს, როგორ მოხდება მდ. აჯის, რამდენიმე მშრალი ხევისა და ღარტაფის გადაკვეთა, შესაბამისი ალტერნატივების ანალიზის საფუძველზე.</p>	209	<p>ამ შენიშვნის გათვალისწინებით მოხდა გადაკვეთების ცხრილი 5-4-ის (მე-5 თავი) შესწორება; შესაბამისად, ცხრილში მოცემულია მცირე მდინარეების გადაკვეთები, როგორც ეს მოთხოვნილი იყო და მითითებულია შესაბამისი სამშენებლო მეთოდი.</p> <p>მსხვილ მდინარეთა, როგორცაა მტკვარი და ალგეთი, გადაკვეთების მეთოდოლოგიები უკვე შეფასებულია და აღწერილია თავებში 4.5 და 5.4.11. მომზადდა ESIA ანგარიშის განახლებული ვერსია, და განხორციელდა თავის 5.4.11 რესტრუქტურისა და კვეთების აღწერების გასაუმჯობესებლად და მცირე მდინარეებისა და არხების გადაკვეთის პრინციპების ასახვისათვის; აღნიშნული პრინციპები ეფუძნება გადაკვეთის ტიპურ საინჟინრო პროექტს, რომელიც, როგორც წესი, გადამოწმდება ველში, მშენებლობის დაწყებამდე.</p> <p>მდ. ალგეთის გადაკვეთისათვის განხილული ალტერნატიული მეთოდოლოგიები გადაიხედა გარემოს დაცვის სამინისტროს №15 შენიშვნაზე გაცემული პასუხის შესაბამისად (შიდა ნომერი - 219).</p>	<p>5.3.2; ცხრ. 5-4</p> <p>4.5 & 5.4.11</p> <p>4.5.1</p>
<p>6. ESIA ანგარიშში განხილული უნდა იყოს ყველა გადასაკვეთი მდინარის, აქტიური ან სიღრმითი ეროზიის მქონე ხეცების, ასევე ღვარცოფული ხეცების ჰიდროლოგია. გადაკვეთებისათვის უნდა შედგეს ცალკეული პროექტები წყლის მაქსიმალურად მოსალოდნელი ხარჯების, ნატანის მოძრაობის რეჟიმის, სიღრმითი და გვერდითი ეროზიული პროცესების შესაძლო განვითარების შედეგად, კალაპოტის მოსალოდნელი ცვალებადობის მხედველობაში მიღებით.</p>	210	<p>მე-7 თავის ქვეთავები, სადაც განხილულია ზედაპირული წყლების მორფოლოგიური პირობები და მე-5 თავის ქვეთავი 5.4.11 შეივსო დამატებითი ჰიდროლოგიური ინფორმაციით. ჩატარდა დამატებითი კვლევები ფონური ინფორმაციის შესაგროვებლად; აღნიშნული კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ SCPX მილსადენის მარშრუტი არ კვეთს აქტიური და სიღრმითი ეროზიის მქონე ან ღვარცოფულ ხეცებს.</p> <p>მსხვილ მდინარეთა (მტკვარი და ალგეთი) გადაკვეთების ინდივიდუალური საინჟინრო პროექტები გაითვალისწინებს მაქსიმალურ მოსალოდნელ ხარჯებს (200-წლიანი განმეორადობის წყალდიდობა), ნატანის მოძრაობის რეჟიმს, მდინარის კალაპოტის კონტურების პოტენციური გამორეცხვით გამოწვეულ მოსალოდნელ ცვლილებებს და აქტიური ეროზიის პროგნოზირებად ხარისხს,</p>	<p>7.2.5.1, 7.5.3; 5.4.11</p> <p>5.4.11</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		როგორც ეს აღწერილია მე-5 თავში.	
7. მდინარეების, აქტიური ან სიღრმითი ეროზიის მქონე ხევების, ასევე ღვარცოფული ხევების გადაკვეთებისას, არასასურველი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, ESIA ანგარიშში განხილული უნდა იყოს შესაძლო აურყოფითი ზემოქმედებები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბუნებრივი და სტიქიური მოვლენა, რომელიც წყლის ობიექტთანაა დაკავშირებული.	211	<p>თავი 5.4 შეივსო ახალი ინფორმაციით მდინარეთა გადაკვეთების დაპროექტებისადმი მიდგომის შესახებ. მე-5 თავში მოყვანილია დამატებითი საპროექტო შემარბილებელი ზომები, ხოლო მე-12 თავს დაემატა პოტენციური ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების აღწერა.</p> <p>აღსანიშნავია, რომ განხორციელდა კვლევები ფონური ინფორმაციის შესაგროვებლად; ამ კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ SCPX მილსადენის მარშრუტი არ კვეთს ხევებს, რომლებიც მიდრეკილია აქტიური ან სიღრმითი ეროზიისადმი ან ღვარცოფებისადმი.</p>	<p>5.4.11</p> <p>12.4.2; 12.6.1; 12.6.2</p> <p>ვალდებულ ებები D12- 06, OP131, OP143 & OP144</p>
8. ESIA ანგარიშში მითითებული უნდა იყოს მილსადენის საპროექტო დერეფანში ხვდება თუ არა სასარგებლო წიაღისეულის საბადო ან გამოვლინება, ვინაიდან საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ“ 39-ე მუხლი კრძალავს სამრეწველო ობიექტების, კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას ვიდრე არ დადასტურდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის საბადო ან გამოვლინება. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების დასკვნა.	212	<p>პროექტმა კონსულტაციები გაიარა საქართველოს ენერჯეტიკისა და მინერალური რესურსების სამინისტროსთან საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ან გამოვლინებების არსებობის / არარსებობის დასადასტურებლად. აღნიშნული კონსულტაციების შედეგები მოყვანილია მე-7 თავში - გარემოს ფონური მდგომარეობა.</p>	7.2.3
9. ESIA ანგარიშში განხილული უნდა იყოს პროექტის განხორციელებისას იშვიათი (უნიკალური) გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, მინერალური, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე წარმონაქმნების აღმოჩენის შემთხვევაში რა ღონისძიებები იქნება გატარებული.	213	<p>პროექტმა დაამუშავა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების მენეჯმენტის გეგმა, რომელიც მოყვანილია ESIA ანგარიშის დანართ D-ში; იგი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედების პროცედურას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სამუშაო სტანდარტებს და ამოქმედდება რომელიმე, მანამდე უცნობი</p>	<p>დანართი D; თავი 19</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		ობიექტის შემთხვევით აღმოჩენისას.	
<p>10. ESIA ანგარიშის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მასალა გამოუსადეგარი იქნება გრუნტირების და თხრილის ამოვსებისათვის, გრუნტირების მასალა შემოტანილი იქნება ლიცენზირებული კარიერიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე ახალი ინერტული მასალების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, შესწავლილი უნდა იყოს საპროექტო დერეფნის ახლოს არსებული სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროების სალექარებში დაგროვილი მასალა, რომელიც გამოყენებული იქნება გრუნტირებისათვის ან თხრილის ამოვსებისათვის.</p>	214	<p>პროექტი ამას განიხილავს, როგორც მშენებლობისათვის საჭირო იმპორტირებული მასალის მოცულობის შემცირების უნიკალურ შესაძლებლობას. პროექტი შეაფასებს სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროების სალექარებში დაგროვილ მასალას, შემოთავაზებული გამოყენების მეთოდის პრაქტიკულობის თვალსაზრისით; პრაქტიკულობის განსაზღვრა შეიძლება ემყარებოდეს ისეთ საკითხების განხილვას, როგორცაა მანძილი საპროექტო ტერიტორიებიდან, ინფრასტრუქტურის საჭირო მოდერნიზაცია, მასალის ხარისხი, ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და ეკოლოგიური და სოციალური მოსაზრებები.</p> <p>პროექტი ასევე გეგმავს CSG1 და CSG2 უბნების დატერასების შესაძლებლობის შესწავლას და სხვა დროებითი გამოყენების ტერიტორიების ოპტიმიზაციას, რათა შემცირდეს მიწის სამუშაოებისა და საჭირო მასალების იმპორტის მოცულობა.</p>	5.6.1, 10.2.4
<p>11. ESIA ანგარიშში ლანდშაფტის ტიპებთან ერთად აღწერილი უნდა იყოს გეომორფოლოგიური პირობებიც.</p>	215	<p>მე-7 თავში მოცემული ლანდშაფტების ფონური მდგომარეობის აღწერა გადაიხედა და შეივსო უფრო დეტალური ხელმისაწვდომი მონაცემებით ლანდშაფტების ფონური მდგომარეობის აღწერის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით - გეომორფოლოგიურ პირობებთან მიმართებაში.</p>	7.4.3

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>12. ESIA ანგარიშის თავი 7.6-ის (გვ. 48) თანახმად, „მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ინფორმაცია CSG2 საკომპრესორო სადგურის ირგვლივ მდებარე მონიტორინგის წერტილებიდან. მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის შემოთავაზებული SCPX პარალელური მილსადენისათვის, ვინაიდან საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ამ ტერიტორიებზე მონიტორინგის ჩატარება არ იქნება მოთხოვნილი მისი ნაკლები სენსიტიურობის გამო BTC მილსადენის სხვა მონაკვეთებთან შედარებით“. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვის ზემოაღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>	216	<p>პროექტი მიიჩნევს, რომ ეს შენიშვნა პირდაპირ არ ეხება SCPX ESIA ანგარიშს, არამედ იგი უკავშირდება BTC ნავთობსადენს. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმდა მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის მოცულობა მხოლოდ BTC მილსადენთან მიმართებაში. იხ წერილები: GOGC/OUT/0145/08 და BTC/INC/4090/09.</p>	-
<p>13. ანგარიშში ასახული ალტერნატივების განხილვის ნაწილში მოცემული უნდა იყოს ალტერნატივების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით</p>	217	<p>პროექტის მიდგომა CSG1 საკომპრესორო და PRMS წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურების უბნების შერჩევისა და მილსადენის მარშრუტის განსაზღვრის თვალსაზრისით მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი განლაგებული ყოფილიყო რაც შეიძლება ახლოს PSG1 სატუმბ სადგურთან, მე-80 უბანსა და BTC და SCP მილსადენების მარშრუტებთან. ასეთი მიდგომა მინიმუმამდე ამცირებს პროექტისათვის საჭირო დამატებით ფართობს და იყენებს წარსულში შეშფოთებულ ტერიტორიებს. ეს უბნები იმყოფება ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ, რაც უმთავრესად გამოწვეულია მოვებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანითა და მილსადენის სისტემის ობიექტების არსებობით. ბიომრავალფეროვნების დონე ამ პოტენციურ უბნებსა და მარშრუტებზე შეფასდა ეკოლოგიური კვლევების დროს და გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ განხილული ვარიანტები ხასიათდება მსგავსი, შედარებით დაბალი ღირებულებით ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით.</p>	4.6.2 4.10.1

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		<p>რაც შეეხება CSG2 საკომპრესორო სადგურს, მე-4 თავის ქვეთავ 4.6.2-ში აღწერილია მიწათსარგებლობა და ჰაბიტატები, ხოლო ცხრილ 4.5-ში მოცემულია სხვადასხვა ვარიანტის ეკოლოგიური ღირებულების წინასწარი შეფასება. ეს თავი გადაიხედა და ამჟამად მოიცავს განხილული ალტერნატიული ვარიანტების უფრო დეტალურ ხარისხობრივ ეკოლოგიურ აღწერასა და ბიომრავალფეროვნების დონის შეფასებას.</p> <p>დროებითი უბნების, როგორცაა სამშენებლო ბანაკები და მიწების დასაწყობების უბნები, შერჩევის პროცესი მოიცავდა სხვადასხვა ვარიანტების ფარდობითი ეკოლოგიური მნიშვნელობის განხილვას; შესაბამისად, თავი 4.10.1 გადაიხედა ზემოაღნიშნულის ასახვის მიზნით.</p>	
<p>14. წარდგენილ ანგარიშში, მცენარეებთან მიმართებაში, რამდენიმე ადგილზე, კვლევის სამიზნე ობიექტებში მითითებული არაა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები, მაგ., პატარა თელადუმა. თუმცა შემდეგ აღნიშნულ სახეობაზე მითითებულია, რომ იგი დაექვემდებარება გაკაფვას და მოცემულია მისი აღდგენის ქმედებები. ანგარიშში კვლევის სამიზნე ობიექტებად, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფართობის წინაშე მყოფი სახეობები და ასევე ანგარიშში ასახული სხვა, ენდემური თუ მოწყვლადი სახეობები, სათანადო შეფასებითა და მათი დაცვა-აღდგენისათვის განსახორციელებელი ქმედებების დაფიქსირებით.</p>	218	<p>პროექტი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ყველა სახეობა უნდა აღინიშნოს, როგორც სამიზნე სახეობა, რადგან ისინი წარმოადგენენ ფონური მდგომარეობის კვლევის მთავარ ფოკუსს. მე-7 თავი გადაიხედა ზემოაღნიშნულის ასახვის მიზნით.</p> <p>საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები, რომლებიც დაფიქსირდა ეკოლოგიური კვლევების დროს, მოცემულია მე-7 თავში, ხოლო ზემოქმედების შეფასება და შემოთავაზებული შემარბილებელი ზომები, კომპლექსური აღგენის ჩათვლით, აღწერილია მე-10 თავში.</p>	7.7.2 10.7
<p>15. ზუსტად უნდა აღირიცხოს პროექტის განხორციელების დროს მოჭრა-განადგურებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობა, სახეობების მიხედვით. მათ შორის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი</p>	219	<p>მდ. ალგეთის გადაკვეთის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით განხილული ალტერნატიული ვარიანტების აღწერა თავ 4.5.1-ში გადაიხედა ჭალის ტყეზე ზემოქმედების შესამცირებლად შეფასებული ვარიანტების საფუძველზე.</p>	4.5.1

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>სახეობების ინდივიდები. წითელი ნუსხის ინდივიდების მოჭრისათვის ქმედებები უნდა განხორციელდეს „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან ანგარიშში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არის აუცილებელი წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების მოჭრა, მით უმეტეს, ჭალის ტყეში.</p>		<p>მდ. ალგეთის გადაკვეთასთან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის ინდივიდების მოჭრის სანაცვლოდ საკომპენსაციო დარგვის სქემის კონცეფცია მოცემულია თავ 10.7.4-ში. ESIA ანგარიშის განახლებულ ვერსიაში პროექტმა აიღო ვალდებულება, რომ აღრიცხავს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მოჭრილ ყველა ხე-მცენარეს და შეადგენს შესაბამის საინვენტარიზაციო სიას, საქართველოს „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ კანონის, ტყის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის № 242 დადგენილების „ტყის გამოყენების შესახებ წესების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად</p>	<p>10.7.4 ვალდებულ ება 17-15; თავი 10.7.4</p>
<p>16. ანგარიშში მოტანილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობებზე და ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაციისგან განსხვავებით, პოტენციური ზემოქმედების ცხრილებში: 10-12 და 10-13 პოტენციური ზემოქმედების სიდიდე განსაზღვრულია უფრო მცირე მასშტაბით (ძირითადად, როგორც დაბალი). აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ამ სიდიდეების გადახედვა და ადექვატური ზემოქმედების სტატუსის მინიჭება.</p>	<p>220</p>	<p>პროექტმა გადახედა ცხრილებში 10-12 და 10-13 მოყვანილ ზემოქმედების შეფასებას, ზემოქმედების შეფასების მე-3 თავში აღწერილი ESIA მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის გადასამოწმებლად.</p> <p>ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასების მხრივ, ცხრილ 10-13-ში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები:</p> <p>მე-12 კმ ნიშნული: არხში მობინადრე ფაუნა - სენსიტიურობა გაზრდილია კატეგორია „C“-მდე</p> <p>მდ. მტკვრის ეკოსისტემისათვის განისაზღვრა ორი ტიპის პოტენციური ზემოქმედება:</p> <ul style="list-style-type: none"> • პატარა თელადუმა: პოტენციური ზემოქმედების დონე გაზრდილია „D3“-მდე (საშუალო); ხოლო ნარჩენი ზემოქმედების დონე - „D1“-მდე (დაბალი) • წყლის ეკოსისტემა: პოტენციური ზემოქმედების დონე გაზრდილია „D3“-მდე (საშუალო); ხოლო ნარჩენი ზემოქმედება - „D2“-მდე (საშუალო) <p>ხეები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ დამურების</p>	<p>10.7.4</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		<p>თავშესაფარს, კმ ნიშნულებს 54-55 შორის - პოტენციური ზემოქმედების დონე გაზრდილია „B3“-დან (დაბალი) „C3“-მდე (საშუალო); ნარჩენი ზემოქმედების დონე კი - „B1“-დან (დაბალი) „C2“-მდე (დაბალი)</p> <p>მდ. ალგეთის გადაკვეთისათვის დამატებულია კიდევ ერთი ზემოქმედების ტიპი - წყლის ეკოსისტემა, რომელზეც პოტენციური ზემოქმედება "D3" (საშუალო) დონისაა, ხოლო ნარჩენი ზემოქმედება - "D1" (დაბალი) დონისაა.</p> <p>ღალღა ჭარბტენიან ტერიტორიებზე CSG2 საკომპრესორო სადგურთან და სადგურამდე მისასვლელ გზასთან - პოტენციური ზემოქმედების დონე გაზრდილია „C3“-მდე (საშუალო) (თავდაპირველი „B1“, ე.ი. მაღალი, შეფასება შეცდომა იყო); ხოლო ნარჩენი ზემოქმედების - „C3“-მდე (საშუალო).</p> <p>ამ შენიშვნისა და #221 შენიშვნის საპასუხოდ, განხორციელდა თავის 10.7.4 გადახედვა და განახლება შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • 10.7.3 და ცხრილი 10-12 - განვრცობილი იქნა პოტენციური ზემოქმედებები ეკოლოგიურ რესურსებზე, რათა მოცული ყოფილიყო ნიადაგის ნაყოფიერება, შემთხვევითი დაღვრები და სედიმენტაციის ზემოქმედება თევზებზე • 10.7.3 და ცხრილი 10-12 - დამატებული იქნა შემდეგი დამატებითი შემარბილებელი ზომები: <ul style="list-style-type: none"> ○ A17: 3-19, 10-14, 11-05, 17-18, 19-10, 30-23, 32-03 ○ A18: 18-02, 18-05 ○ A19: 19-05, D5-045 ○ A20: 32-08 	10.7.3, 10.7.4

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		<ul style="list-style-type: none"> ○ A7: 7-10, 7-11, 7-12, 7-14, 10-01, 10-22 ○ A9: 1-12, 9-02 ● 10.7.3 – საკითხი A3 და A 11 და მათთან დაკავშირებული შერბილებები დაემატა ცხრილს 10-12 	
<p>17. უნდა დაზუსტდეს ზეგავლენას დაქვემდებარებულ მდინარეებში თევზის სახეობრივი შემადგენლობა. ზოგადად წყლის ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე, განსაკუთრებით საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ზემოქმედების სახეების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ქმედებების განსაზღვრა.</p>	221	<p>წყლის ეკოსისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოყვანილია ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშის დანართებში; ეს ინფორმაცია ფოკუსირდება იქთიოფაუნაზე და აგრეთვე შეტანილია ESIA ანგარიშის მე-7 თავის გადახედილ ვერსიაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის სახეობები არ დაფიქსირებულა თევზების დაჭერის კვლევით ალგეთზე ან აჯიზე; გარდა ამისა, ასეთი სახეობის თევზის დაჭერა არ დაუდასტურებიათ ადგილობრივ მეთევზეებს მდ. მტკვრის გადაკვეთის მიდამოებში.</p> <p>მდ. აჯის გადაკვეთის მიდამოებში ჩატარდა დამატებითი კვლევები, საქართველოს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციის მე-2 შენიშვნის (შიდა საიდენტიფიკაციო № 243) საპასუხოდ.</p> <p>პროექტს მიაჩნია, რომ ფონური ინფორმაციის დონე საკმარისია პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი მდინარეებისათვის, თუ გავითვალისწინებთ გადაკვეთის მშენებლობის შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას, მაგ., მიკროტუნელირება მდ. მტკვრის კალაპოტის ქვეშ მიზნად ისახავდა მდინარეზე, წყლის ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შემცირებას. თევზის შესწავლა და მაკროუხერხემლო ცხოველების კვლევა განხორციელდა ალგეთისა და აჯის გადაკვეთების მიდამოებში; ამ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დამუშავდა შემარბილებელი ზომები, რომლებიც მოყვანილია მე-10 თავში.</p>	<p>7.7.3</p> <p>7.7.3</p> <p>10.7.4</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		ამ შენიშვნისა და #220 შენიშვნის საპასუხოდ, გადაიხედა და განახლდა თავი 10.7.4.	
<p>18. ანგარიშში უფრო დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი შემარბილებელ ღონისძიებად განსაზღვრული პატარა თელადუმას (<i>Ulmus minor</i>) აღდგენის გეგმა, როგორც საკომპენსაციო ქმედება.</p> <p>ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოცემული უნდა იყოს კომპენსირების საჭიროებას დაქვემდებარებული ქმედებები სხვა სახეობებთან მიმართებაში (მაგ., საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ცხოველთა სახეობები, როგორცაა ხმელთაშუა ზღვის კუ და ანგარიშში ასახული სხვა სახეობები). უკეთესია, თუ აღნიშნული (საკომპენსაციო ქმედების) ნაწილი ცალკე თავად იქნება წარმოდგენილი</p>	222	<p>პროექტმა აიღო ვალდებულება, მოამზადოს მცენარეთა საკომპენსაციო დარგვის გეგმა, სადაც დაწვრილებით იქნება აღწერილი პროექტის დარგვის პროგრამა (მათ შორის, მდ. ალგეთის გადაკვეთასთან ხე-მცენარეების, როგორცაა პატარა თელადუმა, სანაცვლო დარგვა). აღნიშნული გეგმა ინფორმაციის სახით მიეწოდება გარემოს დაცვის სამინისტროს. საკომპენსაციო დარგვის კონცეპტუალური სქემა მდ. ალგეთის გადაკვეთასთან მოსაჭირელ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის ინდივიდებთან მიმართებაში მოყვანილია თავ 10.7.4-ში.</p> <p>ცხოველებთან მიმართებაში ESIA ანგარიშში შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები მიჩნეულია, როგორც საკმარისი ამ მობილურ სახეობებზე პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შერბილების თვალსაზრისით და ითვლება, რომ დამატებითი საკომპენსაციო ზომები საჭირო არაა.</p>	10.7.4; შენიშვნა 19-10
<p>19. „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 24 სექტემბრის ბრძანება) თანახმად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობებისათვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგი გაფრქვევის მილში ტარდება კვარტალში ერთხელ. ამიტომ სათანადო შესწორებები შესატანი 10.8.4 ქვეთავის ცხრილ 10-21-ში.</p>	223	<p>პროექტის საექსპლუატაციო მონიტორინგის სტრატეგია ეფუძნება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაში მოყვანილ მოთხოვნებს გარემოსდაცვით სტანდარტებთან დაკავშირებით, დანართი 4, თავი 3.1. პროექტს მიაჩნია, რომ ექსტენიანი მონიტორინგი უზრუნველყოფს სათანადო სიხშირეს და შეესაბამება მსოფლიო ბანკისა და დიდი ბრიტანეთის ნორმებსა და პრაქტიკას.</p>	-
20. სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის	224	სამი, ყველაზე მსხვილი ობიექტის მშენებლობისა და	10.8.4;

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>გაფართოების პროექტი მოიცავს სამი დიდი ნაგებობის - CSG1 და CSG2 საკომპრესორო სადგურებისა და PRMS წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, ამიტომ საქართველოში მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის თანახმად, თითოეული მათგანისათვის, განთავსების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სავალდებულოა შემუშავებული და გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული იქნას „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“ (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №704 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“) და „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №705 „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან / და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“).</p>		<p>ექსპლუატაციისათვის პროექტი მოამზადებს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშს“.</p> <p>სამშენებლო ეტაპისათვის პროექტი გაიანგარიშებს შესაბამისი შიგა წვის ძრავის მქონე მოწყობილობების ზღვრულად დასაშვებ ლიმიტებს და მათ წინასწარ შეუთახმებს გარემოს დაცვის სამინისტროს, შესაბამისი მოწყობილობის გამოყენების დაწყებამდე.</p> <p>აღნიშნული ობიექტების (CSG1, CSG2 და PRMS) საექსპლუატაციო ეტაპისათვის პროექტი გაიანგარიშებს შიგა წვის ძრავის მქონე მოწყობილობების ზღვრულად დასაშვებ ლიმიტებს და მათ წინასწარ შეუთახმებს გარემოს დაცვის სამინისტროს, შესაბამისი მოწყობილობის გამოყენების დაწყებამდე.</p>	შენიშვნა 14-10
<p>21. ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს, თუ კონკრეტულად სად მოხდება ჩამდინარე წყლების ჩაშვება გამწმენდი ნაგებობების გავლის შემდეგ. თუ ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტში, მაშინ საქმიანობის სუბიექტმა უნდა შეიმუშავოს და შეათანხმოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან</p>	225	<p>CSG1, CSG2 და PRMS სადგურების ექსპლუატაციისათვის პროექტი დაამუშავებს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივებს (ჩაშვების წერტილების ჩათვლით) შესაბამისი ჩაშვების პუნქტებისათვის და მათ წინასწარ შეუთანხმებს გარემოს დაცვის სამინისტროს, ჩაშვების პროცესის</p>	

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>„ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივები“ (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 1996 წლის 12 აგვისტოს ბრძანება №105 „წყალსატევებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივების გაანგარიშების მეთოდის“ დამტკიცების თაობაზე“) ჩაშვების წერტილის კოორდინატების მითითებით.</p>		<p>დაწყებამდე.</p> <p>პროექტის საინჟინრო დაპროექტების მიმდინარე ეტაპზე შეუძლებელია ჩაშვების წერტილების ადგილმდებარეობის დადასტურება. სავარაუდოა, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე პროექტი ინტეგრირდეს CSG1/PSG1 სადგურებსა და მე-80 / 81-ე უბნებზე არსებულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებთან და იგივე ჩაშვების წერტილები გამოიყენოს. CSG2 სადგურს დაჭირდება ჩამდინარე წყლების ახალი გამწმენდი ნაგებობა და ჩაშვების წერტილის დადგენა.</p> <p>ESIA ანგარიშის განახლებულ ვერსიაში მოყვანილია ჩამდინარე წყლების ჩაშვების წინასწარი ლოკაციები. პროექტი დააზუსტებს აღნიშნული პუნქტების საბოლოო განლაგებას ჩაშვების ნებართვის მოსაპოვებლად გარემოს დაცვის სამინისტროში წარდგენილ განაცხადში.</p> <p>მშენებლობასა და ექსპლუატაციაში შეყვანასთან დაკავშირებული ყველა ჩაშვებისათვის პროექტი მოამზადებს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივებს (ჩაშვების წერტილების ჩათვლით) შესაბამისი ჩაშვების პუნქტებისათვის და მათ წინასწარ შეუთანხმებს გარემოს დაცვის სამინისტროს, ჩაშვების პროცესის დაწყებამდე.</p>	<p>10.5.4;</p> <p>შენიშვნა 14-09</p> <p>5.5.5</p> <p>შენიშვნა D5-106; 14-09</p>
<p>22. ESIA ანგარიშის თანახმად (ცხრ. 7-4) მილსადენის ტრასის სიახლოვეს, 30-ე კმ ნიშნულზე დაფიქსირდა ჯილეხით დახოცილი საქონლის სამარხი. ადამიანებისა და ცხოველებისათვის საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს ლანდშაფტურ-ეპიზოოტოლოგიურ-ეკოლოგიური კვლევა და, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს პრევენციული ღონისძიებები.</p>	226	<p>დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ახორციელებს ყოველწლიურ ეპიზოოტოლოგიურ და ეპიდემიოლოგიურ კვლევებს არსებული BTC და SCP მილსადენებისათვის.</p> <p>აღნიშნული კვლევების შედეგები გადაიხედა SCPX-ის საპროექტო ტერიტორიებთან მიმართებაში და აღწერილია მე-8 ნაწილში. კომპანია ჩაატარებს კომპლექსურ ექსპერტიზას ჯილეხთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით; პროექტმა აიღო ამ ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება</p>	<p>8.4.3 (ზოონოზები)</p> <p>10.12.4</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		<p>(ვალდებულება 6-22). თუ მშენებლობის დროს აღმოჩენილი იქნება ცხოველთა სამარხები, სამშენებლო სამუშაოები ამ ადგილზე შეწყდება სანამ დაზიანებულ უბანზე კვალიფიციური პერსონალი აიღებს ნიმუშებს ჯილეხის რისკის განსასაზღვრად (ვალდებულება 6-25). კმ30-თან არსებული ცნობილი ჯილეხის სამარხის დობე შენარჩუნებული იქნება მშენებლობის დროს, რათა ხელი შეეწყოს ამ უბნის დაცვას შემფოთებისგან; მუშახელს ეცნობება ამ უბანთან დაკავშირებული რისკების და შემფოთების გვერდის ავლის აუცილებლობის შესახებ (ვალდებულება (X6-04).</p> <p>ESIA ანგარიშის დანართ D-ში მოცემულია დაბინძურების შემთხვევით აღმოჩენის პროცედურა; იგი გადაიხედა იმ ქმედებების აღსაწერად, რომლებიც უნდა გატარდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციური ზეგავლენის მქონე აღმოჩენის (მაგ., ცხოველის ნარჩენები) შემთხვევაში.</p>	<p>(ზონონოზებ ი); ვალდებულ ებები 6-22, 6-25, X6-04</p> <p>დანართი D, 11.4.3</p>
<p>23. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენილ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ასპექტებზე.</p>	227	<p>ეს შენიშვნა გათვალისწინებულია; პროექტი ზედმიწევნით დაიცავს სამშენებლო ნებართვის მოპოვების პროცესს, როგორც ეს განსაზღვრულია №57-ე ბრძანებით სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცედურის შესახებ და ნებართვის პირობებით.</p>	-
<p>24. ESIA ანგარიში მოიცავს შემდეგ უზუსტობებს:</p>	228		
<p>• SCPX მილსადენის დერეფნის პირველ 56 კმ-ზე ძირითადი ქანები ნეოგენური ასაკისაა და არსად გვხვდება კირქვები, როგორც ეს მითითებულია ESIA ანგარიშში, რაც საჭიროებს კორექტირებას.</p>	229	<p>ანგარიშის მითითებული ნაწილი შესწორდა ტერიტორიის გეოლოგიური პირობების შენიშვნის შესაბამისად ასახვის მიზნით.</p>	7.2.3

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
• ანგარიშის ტექსტი ტერმინოლოგიურად გაუმართავია და გაუგებარია, რას ნიშნავს „ინტრუზიული ქანები“, „ვულკანების აფეთქებები“, „არაშეცემენტებული ქვიშები“, „კომპრესიული და რევერსული რღვევები“. უნდა მოხდეს ტექსტის გამართვა.	230	აღნიშნული ტერმინოლოგია გადაიხედა და, საჭიროების მიხედვით, შესწორდა ამ შენიშვნის საპასუხოდ.	7.3, 10.2
• გვ. 10-54: ESIA ანგარიშში ხმელთაშუა ზღვის კუ მოხსენიებულია, როგორც ფართოდ გავრცელებული ამფიბიის სახეობა, რაც არ შეესაბამება რეალობას, რადგან ეს სახეობა შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“. აღნიშნული საჭიროებს შესწორებას.	306	ტექსტი შესწორდა ამ შენიშვნის შესაბამისად. ამ წინადადების შინაარსი შემდეგი უნდა ყოფილიყო: ამფიბიები ფართოდ გავრცელებული სახეობებია და არა რეპტილიები, რომლებიც მოიცავს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობას - ხმელთაშუა ზღვის კუს.	10.7.2; 7.7.4
• გასასწორებელია ანგარიშში წარმოდგენილი იქთიოლოგიური კვლევის ნაწილი, როგორც სტილისტურად, ისე შინაარსობრივად.	231	ანგარიშის მოცემული ნაწილი შესწორდა მე-17 შენიშვნაზე გაცემული პასუხის შესაბამისად (შიდა საიდენტიფიკაციო № 221).	7.7.3
• ანგარიშში სიმძლავრის განზომილებად, ნაცვლად „მგტ“ - ია მოცემულია „მგ“, რაც საჭიროებს შესწორებას. ასევე „კვ“ არის ძაბვის განზომილება და არა სიმძლავრის.	232	ანგარიშის შესაბამისი ნაწილი გადაიხედა და, საჭიროების მიხედვით, შესწორდა, როგორც ეს მითითებულია ამ შენიშვნის პასუხში.	თავი 5; თავი 10
• ცხრილი 6.4: უნდა იყოს „გარემოს ეროვნული სააგენტო“ და არა „გარემოს დაცვის სააგენტო“.	233	ანგარიშის შესაბამისი ნაწილი გადაიხედა და, საჭიროების მიხედვით, შესწორდა, როგორც ეს მითითებულია ამ შენიშვნის პასუხში.	6.5.3; ცხრ. 6-4
• ტექსტის სხვადასხვა ნაწილში განზომილებების ერთეულები მითითებულია ქართულ-ლათინური შრიფტით, მაგ.: მკგ/ლ, მკგ/მ3, მანქანა/სთ (vehicle/hr).	235	ანგარიშის შესაბამისი ნაწილი გადაიხედა და, საჭიროების მიხედვით, შესწორდა, როგორც ეს მითითებულია ამ შენიშვნის პასუხში.	თავი 5; 7; 10
• უნდა იყოს ცხრ. „4-46“ და არა ცხრ. „4-76“.	236	ანგარიშის შესაბამისი ნაწილი გადაიხედა და, საჭიროების მიხედვით, შესწორდა, როგორც ეს მითითებულია ამ შენიშვნის პასუხში.	თავი 7
• ცხრილებში 7-46; 7-49; 7-52; 11-2 მისათითებელია განზომილებების ერთეულები.	237	განზომილებების ერთეულები დაემატა შემდეგ ცხრილებს: 7-46, 7-49; 7-52; 11-2 (მიუხედავად იმისა, რომ ცხრილების ნუმერაცია შესწორდა ESIA ანგარიშის საბოლოო ვერსიაში).	თავები 7; 11

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინოთ მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (არატექნიკური რეზიუმეს სახით). „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების თანახმად, ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითადად, უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	238	<p>აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია.</p> <p>პროექტმა უკვე წარადგინა არარტექნიკური რეზიუმე, როგორც საჯარო განხილვისათვის მომზადებული ESIA ანგარიშის პროექტის ნაწილი; არატექნიკური რეზიუმე აგრეთვე წარდგენილი იქნება ESIA ანგარიშის საბოლოო ვარიანტთან ერთად.</p> <p>ESIA ანგარიშის შესწორებული ვარიანტის წინამდებარე დანართში (დანართი C2) მოცემულია საჯარო განხილვის დროს მიღებული შენიშვნები და პროექტის მიერ მათზე გაცემული პასუხები</p>	<p>არატექნიკური რეზიუმე</p> <p>დანართი C2</p>
<p>თქვენს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს და თან უნდა ერთვოდეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია. ასევე, წარდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები (განახლებული სამეწარმეო და საჯარო რეესტრები), წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტრო მოკლებული იქნება შესაძლებლობას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.</p>	239	<p>აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია; თუმცა, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, დანართი 4, თავი 3.6, SCPX-ის დაუგეგმავ მოვლენებზე რეაგირების გეგმა წარედგინება სამხრეთ კავკასიური მილსადენის სამთავრობო წარმომადგენელს დასამტკიცებლად, ობიექტების მშენებლობის დასრულებამდე.</p>	-
<p>რაც შეეხება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებას, გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტრო, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ</p>	240	<p>აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია.</p>	-

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. შესაბამისად, განაცხადი, კანონით დადგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილი უნდა იყოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (როგორც მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოდან) მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე ეტაპზე.			
ზემოაღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტრო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.	241	აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია.	-
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი, სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში დაგეგმილი, 56 კმ სიგრძის, ახალი მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ნომერი: SCP/OUT/096/12; თარიღი: 2012 წლის 29 მაისი) და გაცნობებთ, რომ ჩვენი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები ან რეკომენდაციები არ გაგვაჩნია.	311	არ საჭიროებს შემდგომ ქმედებას.	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>რომლის საექსპლუატაციო მარაგები შეადგენს 0.308 მ³/წმ. ოთხივე უბანი განლაგებულია მდ. ქცია-ხრამის მარჯვენა სანაპიროზე, სოფლებს ყიზილქილისას და ნარდევანს შორის. ამ უბნების წყაროების კვება ხდება სამი, მიწისქვეშა წყლების ნაკადით, რომელიც იწყება ტაბაწყურის ტბის წყალშემკრებში - ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. იგი მიემართება აღმოსავლეთით და მონაწილეობას იღებს ოზნის წყაროების კვებაში.</p> <p>წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, ამ უმნიშვნელოვანესი უბნის მიწისქვეშა წყლების ფონური მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა სამონიტორინგო ჭაბურღილების საშუალებით (გარდა იმ ჭაბურღილებისა, რომლებიც უკვე ჩართულია მონიტორინგის ქსელში), კერძოდ: გაბურღა 6 ჭაბურღილი (იხ. რუკა 1), რომელთა მდებარეობა განისაზღვრა სამკუთხედის მეთოდით, თუმცა გაურკვეველია, რა სიღრმის ჭაბურღილები იქნა გაყვანილი, რადგან, როგორც ჩანს, მონიტორინგის სხვადასხვა ეტაპზე 6 ჭაბურღილიდან მხოლოდ სამზე ხდებოდა დაკვირვება, რადგან დანარჩენი სამი მშრალი აღმოჩნდა.</p>		<p>ისინი მოიცავს მყარი და თხევადი ნაღვენების წარმოქმნას, გაბურღვით, გვირაბის გაყვანით ან მოჭრით გამოწვეულ დაბინძურებას, ან მყარი და თხევადი ნარჩენების წარმოქმნას ან ჰიდროტესტის ქემიკალიებს ან ჰიდროტესტის წყალს; საყოფაცხოვრებო საკანალიზაციო წყლის ჩაშვებას მიწისქვეშა წყლებში და მილსადენის თხრილის ექსპლუატაციის ეფექტს მიწისქვეშა წყლების გადინებაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • განახლდა უმთავრესი სენსიტიურობების ჩამონათვალი თავში 10.6.2 მე-7 თავში მოცემული მიწისქვეშა წყლების ფონური ინფორმაციის ცვლილებების შესაბამისად • უფრო დეტალურად აღიწერა პოტენციური ზემოქმედებები მიწისქვეშა წყლების ხარისხზე • შემარბილებელ ზომებს დაემატა: <ul style="list-style-type: none"> ○ A14-ს დაემატა 14-08, 14-09, 7-13, OP41 და D 5-106 ○ A16-ს დაემატა 2-05 და 3-07 	
<p>ანგარიშში აგრეთვე ნათქვამია, რომ 2011 წლის დეკემბერში, რთული კლიმატური პირობების გამო, ჭაბურღილებიდან ვერ მოხერხდა მიწისქვეშა წყლების დონეებისა და მოცულობების დადგენა, მაგრამ ისინი მაინც ჩაითვალა რეპრეზენტატიულად და შეყვანილი იქნა ფონური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშში. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ჩაითვალა აღნიშნული ჭაბურღილები რეპრეზენტატიულად?</p>	243	<p>2012 წლის გაზაფხულზე პროექტმა შეაგროვა მიწისქვეშა წყლების დამატებითი ნიმუშები; მათი ანალიზის შედეგები მოყვანილია ESIA ანგარიშის განახლებულ ვერსიაში. ESIA ანგარიშიდან ამოღებულია ტექსტი, რომელიც ეხებოდა „მიწისქვეშა წყლების მოცულობების დადგენას“, რადგან ჩაითვალა, რომ მიწისქვეშა წყლების მოცულობების განსაზღვრა არ ჩატარებულა.</p>	7.6.3

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>მიგვაჩნია, რომ წალკის რეგიონი მიწისქვეშა წყლების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე და სენსიტიური უბანია, რადგან ამჟამად აღნიშნული მიწისქვეშა წყლების რესურსები გამოიყენება ადგილობრივი და რეგიონული წყალმომარაგების მიზნით, ხოლო მომავალში თრიალეთის წყაროების დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგები განიხილება ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, თრიალეთის წყაროების ხარისხობრივი თვისებებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1985 წელს იყო გადაწყვეტილი მათი გამოყენება ქ. თბილისის წყალმომარაგებისათვის. აღნიშნული პროექტი დღესაც აქტუალურია.</p>	243	<p>ამ შენიშვნის საპასუხოდ, პროექტმა განაახლა წალკის რეგიონის მიწისქვეშა წყლების ფონური მდგომარეობის ამსახველი მე-7 თავი დამატებული იქნა ერთი ვალდებულება - მიწისქვეშა წყლების ჰიდროსტატიკური ტესტირებისათვის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ (ვალდებულება 15-01). პროექტის მიერ გამოყენებული ყველა ახალი და არსებული წყალამღებები დაექვემდებარება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.</p>	<p>7.6.3</p> <p>ვალდებულ ება 15-01, 15-02</p>
<p>აღსანიშნავია, რომ თრიალეთის წყაროების დასაცავად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის კომპანიის მიერ 2005 წლის 21 აპრილს, საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილი „ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა“ (დოკუმენტის № BTCP-HSE-PLN-401-C1), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცდა თანდართული პირობებით (ბრძანება №110 – „BTC მილსადენის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის დამტკიცების პირობები“ - სულ 9 პირობა). აქედან მე-9 პირობა - „სპეციალური ზომები წალკის წყალშემკრებისათვის“ - ოპერატორ კომპანიას დღემდე არ შეუსრულებია. შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ დღემდე ვერ მოიფიქრეს წალკის მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის დამატებითი სისტემა. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე ახალი მშენებლობის დაწყება დიდ გარემოსდაცვით რისკებთანაა დაკავშირებული.</p>	243	<p>მიუხედავად იმისა, რომ ვიზიარებთ ამ შენიშვნაში გამოთქმულ შემფოთებას, პროექტს მიაჩნია, რომ აღნიშნული შენიშვნა პირდაპირ არ ეხება SCPX-ის პროექტს, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია BTC მილსადენის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის დამტკიცებასთან.</p>	-

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>ESIA ანგარიშის მიხედვით, გარდა წალკის რეგიონისა, ბთქ/სკმ მილსადენების მშენებლობის დროს მდ. ალგეთის ჭალაში და გარდაბანი-მარნეულის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლებზე, გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, არ ჩაითვალა საჭიროდ მონიტორინგის წარმოება. ამის მიზეზად კომპანია bp უბნის ნაკლებსენსიტიურობას ასახელებს. 2000 წლის შემდეგ მსოფლიოში მდგომარეობა შეიცვალა და მოთხოვნილება მტკნარ წყლებზე საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, საჭირო იქნება ეს უბანიც მოექცეს მაღალი სენსიტიურობის ზონაში.</p>	243	<p>პროექტი თვლის, რომ მოცემული შენიშვნა პირდაპირ არ ეხება SCPX პროექტის ESIA-ს, არამედ იგი უკავშირდება ბთქ მილსადენს. იხ. პასუხი გარემოს დაცვის სამინისტროს მე-12 შენიშვნაზე (შიდა ნომერი - 216), სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმდა მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის მოცულობა მხოლოდ BTC მილსადენთან მიმართებაში. იხ წერილები: GOGC/OUT/0145/08 და BTC/INC/4090/09.“</p>	-
<p>2. იქთიოლოგიური კვლევა ESIA ანგარიშის თანახმად (მე-7 თავი - „ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობა“), იქთიოლოგიური კვლევები არ განხორციელებულა მდ. აჯიზე. ჩვენი აზრით, აუცილებელია აღნიშნული მდინარე ამ თვალსაზრისით სათანადოდ იქნას გამოკვლეული, რადგან იგი მდიდარია იქთიოფაუნით და წარმოადგენს ადგილობრივი სამოყვარულო თევზაობისათვის საუკეთესო ადგილს (იხ. რუკა).</p>	307	<p>ამ შენიშვნის გათვალისწინებით, მდ. აჯიზე ჩატარდა იქთიოფაუნის კვლევა, რომლის შედეგები და შესაბამისი ზემოქმედების შეფასება მოცემულია ESIA ანგარიშის განახლებულ ვარიანტში.</p> <p>პროექტი თვლის, რომ ამ მდინარეზე ღია თხრილის მეთოდით გადაკვეთის მშენებლობა ზეგავლენას მოახდენს მდინარის კალაპოტის შედარებით მცირე ფართობზე, მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, რომლის შემდეგ პროექტს დაგეგმილი აქვს მდინარის კალაპოტის კომპლექსური აღდგენა. ზემოქმედების სახეები ზოომენტოსსა და მათზე დამოკიდებულ ორგანიზმებზე მოსალოდნელია, რომ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მცირე ფართობით და დროებითი იქნება. გაზსადენის ბუნებიდან გამომდინარე, ითვლება, რომ ეკოლოგიური რისკი მდინარეებთან მიმართებაში დაბალია.</p> <p>პროექტმა აიღო ვალდებულება, შეისწავლოს ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის ან საქართველოს წითელ ნუსხებში შეტანილი სახეობების არსებობა მოცემულ მდინარეში წყალაღების დაწყებამდე, განსაკუთრებით - ქვირითობის პერიოდში და, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, განსაზღვროს განსახორციელებელი შემარბილებელი</p>	<p>7.7.2, 7.7.3, 10.5</p> <p>ვალდებულ ება D5-079, 11- 03</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
		ზომები. აგრეთვე ჩატარდება ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვა, მდინარეთა გადაკვეთებზე ტუმბოს საჭიროების დასადგენად.	
<p>3. ზემოქმედება ჰიდრობიოლოგიურ გარემოზე</p> <p>მილსადენით მდინარეთა გადაკვეთისას პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან წყლის უხერხემლო ცხოველები, კერძოდ, ზოობენტოსური ორგანიზმები, რომლებიც ეწევიან მყარ სუბსტრატზე მიმაგრებულ ცხოვრებას. ტროფიკული კიბის დაბალ საფეხურზე მყოფი ეს ორგანიზმები უზრუნველყოფენ წყალსატევსა თუ წყალსადინარში ბენტოფაგის თევზების არსებობას, რადგან წარმოადგენენ მათი საარსებო ტრიადის აუცილებელ მდგენელს. ბუნებრივად წარმოებული თევზის ფასს ადგენს და არეგულირებს სამომხმარებლო ბაზარი, თუმცა სრულიად შეუფასებელია ბუნებრივი საკვები ორგანიზმების ღირებულება. ჩვენი აზრით, საკვები ორგანიზმების ღირებულებათა (ფულად ერთეულში გამოხატული) შეფასება უნდა მოხდეს იმ ორგანიზმების (ამ შემთხვევაში - თევზი) საბაზრო ღირებულებათა დონეებით, რომლებიც მიიღება ძირითადი ან კონკრეტული ორგანიზმების (ამ შემთხვევაში, ზოობენტოსი) გარკვეული რაოდენობის გამოყენების ხარჯზე. ბუნებაში ამოუწურავი რესურსი არ არსებობს და, ამდენად, არც ბენტოსის მარაგია ამოუწურავი. ისედაც შემცირებადი ტენდენციის მქონე ბუნებრივ რესურსებს არ სჭირდება მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ხელოვნურად დაჩქარება, რასაც ადგილი აქვს მდინარეთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კალაპოტის</p>	244	<p>ESIA ანგარიშის განახლებულ ვერსიაში განხილულია ზემოქმედებები სამოყვარულო თევზჭერაზე მდ. აჯიზე. დამატებითი ვალდებულებები დაემატა ცხრილს 10-9 ნიადაგის ეროზიისა და ზედაპირული წყლების დაბინძურების პოტენციური ზემოქმედებების შესარბილებლად:</p> <p>პროექტმა ჩაატარა თევზების შესწავლა მდ. აჯიზე, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მე-2 შენიშვნის გათვალისწინებით (შიდა ნომერი 307). გარდა ამისა, მდ. აჯიზე განხორციელდა მაკროუხერხემლოების კვლევა ზოობენტოსის შესწავლის მიზნით.</p> <p>მდ. ალგეთზე ზოობენტოსის (მაკროუხერხემლოების) და თევზების შესწავლა უკვე ჩატარებული იყო.</p> <p>პროექტი თვლის, რომ ამ მდინარეზე ღია თხრილის მეთოდით გადაკვეთის მშენებლობა ზეგავლენას მოახდენს მდინარის კალაპოტის შედარებით მცირე ფართობზე, მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, რომლის შემდეგ პროექტს დაგეგმილი აქვს მდინარის კალაპოტის კომპლექსური აღდგენა. ზემოქმედების სახეები ზოობენტოსისა და მათზე დამოკიდებულ ორგანიზმებზე მოსალოდნელია, რომ შემოიფარგლოს მხოლოდ მცირე ფართობით და დროებითი იქნება. გაზსადენის ბუნებიდან გამომდინარე, ითვლება, რომ ეკოლოგიური რისკი მდინარეებთან მიმართებაში დაბალია.</p>	<p>10.5.1, 10.5.3, 10.5.4</p> <p>7.7.2, 7.7.3</p> <p>7.7.2, 7.7.3</p>

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>შეშფოთებისას. გარემოში არ არსებობს მნიშვნელოვანი და ნაკლებადმნიშვნელოვანი ორგანიზმები, რადგან ყოველი მათგანი ერთობლიობაში, ურთიერთდაკავშირებით და ურთიერთდამოკიდებულებით, მკაცრად ჩამოყალიბებული თანაფარდობის პირობებში ქმნის ბუნების სრულფასოვან და დაბალანსებულ სახეს. ბუნებრივი რესურსების, ერთი შეხედვით თუნდაც უმნიშვნელო შეშფოთებაც კი იწვევს ბუნებრივი წონასწორობის რღვევას და დისბალანსს. შესაბამისად, ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი და შემდგომში განხილული მდინარეების აჯისა და ალგეთის ზოობენტოსური ორგანიზმები, რომელთა სიმრავლეზეც (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ) დამოკიდებულია მდინარეებში იქთიოფაუნის არსებობა. SCPX გაზსადენის მშენებლობის პერიოდში იქთიოფაუნაზე ზემოქმედების მაღალი რისკის ზონაში უნდა შევიდეს შემდეგი მდინარეები:</p> <p>მდ. აჯი</p> <p>მდებარეობა: გარდაბნის რაიონი სხვა სახელწოდება: აჯისწყალი კატეგორია: I კატეგორიის შენაკადი ტიპი: ბარის მდინარე სიღრმე: 15-30 სმ გამჭირვალობა: ფსკერამდე სიგანე: 2.5 – 3 მ; საშუალოდ - 2.75 მ სათევზმეურნეო სტატუსი: ადგილობრივი, სამოყვარულო.</p> <p>მდ. ალგეთი</p> <p>მდებარეობა: თეთრიწყაროს რაიონი კატეგორია: I კატეგორიის შენაკადი</p>			

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>ტიპი: მთა-ბარის მდინარე სიღრმე: 60 - 70 სმ სიგანე: 8 - 10 მ; საშუალოდ - 9 მ სათევზმეურნეო სტატუსი: ადგილობრივი, სამოყვარულო.</p>			
<p>4. ბიოაღდგენა</p> <p>BTC /SCP მილსადენების პროექტების დასრულების შემდეგ, აღნიშნული მილსადენის ოპერატორმა კომპანიამ გატყინებულ ტერიტორიებზე პრაქტიკულად ვერ შეძლო ბიოაღდგენითი პროცესების მართვა - გადარგული ნერგების შენარჩუნება. პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია რამდენიმე წლის მანძილზე სისტემატიურად ახორციელებდა მილსადენების გასხვისების დერეფანში ბიოაღდგენითი პროცესების მონიტორინგს. იმ დროისათვის მოწვეული ექსპერტების (ნ. ლომიძე, ვ. რცხილაძე) შეფასებით, გადარგული ნერგების 95% გახმა.</p> <p>ამ თვალსაზრისით, SCPX-ის მშენებლობისას განსაკუთრებული ზემოქმედების არეალში ხვდება მდ. ალგეთის ჭალის გადაკვეთა. BTC / SCP მილსადენების მშენებლობის პროექტის დასრულების შემდეგ ამ მონაკვეთზე გადარგული იქნა შემდეგი სახეობების ნერგები: ტირიფი (<i>Salix alba</i>), იალღუნი (<i>Tamarix spp.</i>). მონიტორინგის დროს, ჩვენს მიერ აღებულ სანიმუშო ფართობზე აღინიშნა ტირიფის 35 ნერგი, საიდანაც 32 გამხმარი იყო.</p> <p>წარდგენილ ESIA ანგარიშში არ ჩანს აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები.</p>	245	<p>პროექტმა ივალდებულა საკომპენსაციო დარგვების გეგმის მომზადება, რომელიც დაწვრილებით აღწერს დარგვის პროგრამას (მათ შორის, ხე-მცენარეების, როგორცაა პატარა თელადუმა, სანაცვლო დარგვას). აღნიშნული გეგმა ინფორმაციის სახით წარედგინება გარემოს დაცვის სამინისტროს, როგორც ეს განმარტებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მე-18 შენიშვნაზე (შიდა ნომერი - 222) გაცემულ პასუხში.</p>	-
<p>5. SCPX მილსადენის გადაკვეთები</p>	246	<p>პროექტის საინჟინრო დაპროექტება განხორციელდება სათანადო ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს მოთხოვნილია</p>	-

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>SCPX საპროექტო მილსადენი კვეთს სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მფლობელობაში არსებულ მაგისტრალურ გაზსადენებს (ყაზახი-საგურამო - 1020მმ; ყარადაღ-თბილისი - 700მმ; ყაზახი-საგურამოსა და ყარადაღ-თბილისის შემკრავი - 700მმ და გარდაბანი-ნავთლული - 700მმ). მე-12 თავში - „საფრთხის ანალიზი და რისკების შეფასება“ (გვ. 12-7) მითითებულია, რომ „... ზოგ ადგილებში SCPX მილსადენის დაპროექტებისადმი გამოყენებულმა კონსერვატორულმა საინჟინრო მიდგომამ კოდექსის მკაცრ მოთხოვნებს გადააჭარბა, რის გამოც მთავარი გზის, რკინიგზის და მდინარის გადაკვეთებისთვის, ასევე სეისმური რღვევების უბნებში საანგარიშო კოეფიციენტად აღებული იქნება 0.6 და შესაბამისად უფრო სქელკედლიანი მილები, რომლებიც შეესაბამება API RP 1102 (D5-034) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად...“. ეს ადგილები ნაჩვენებია 12-5 ცხრილში: გადასასვლელების, დასახლებებისა და მიწისზედა ნაგებობების მდებარეობა და SCPX-თან სიახლოვე. რეკომენდებულია ნავთობისა და გაზის კორპორაციის კუთვნილი მილსადენების გადაკვეთებისათვის იგივე პროექტირების კოეფიციენტების გამოყენება საფრთხისა და კუმულატიური ზემოქმედების რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად და ამ ადგილების შეტანა მე-12 თავის 12-5 ცხრილში. ასევე მნიშვნელოვანია ამ ადგილების ასახვა სკმ გაზსადენის ავარიებზე რეაგირების არსებულ გეგმაში, რომელიც, როგორც ESIA-შია ჩამოყალიბებული, განახლდება SCPX მილსადენისა და ახალი ნაგებობების ექსპლუატაციაში შეყვანამდე.</p>		<p>ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების მე-3 დანართის 2.2 თავის თანახმად. რაც შეეხება მილის კედლის გაზრდილ სისქეს, მათი ადგილმდებარეობა განისაზღვრა ამერიკის ინჟინერ-მექანიკოსთა საზოგადოების (ASME) სტანდარტი B31.8-ის მიხედვით (ბუნებრივი აირის გადაცემისა და განაწილების მილსადენების სისტემები), რომელიც არ მოითხოვს მილების მომატებულ კედლის სისქეს მესამე მხარის საკუთრებაში არსებული მილსადენების გადაკვეთებისათვის და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად; გამოყენებული სტანდარტები სიმკაცრით არ ჩამოუვარდება დიდ ბრიტანეთში მოქმედ სტანდარტებსა და პრაქტიკას.</p>	

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA თავის ნომერი
<p>თქვენ ვალდებული იყავით ინფორმაცია დაგეგმილი საჯარო შეხვედრების შესახებ გაგვერცელებინათ მთელ რეგიონში. ეს შეხვედრა გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული დღევანდელი შეხვედრის შესახებ.</p>	303	<p>ინფორმაცია დაგეგმილი საჯარო შეხვედრების შესახებ განთავსდა ადგილობრივ გაზეთებსა და სარეკლამო აბრეშე სხვადასხვა სოფელში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. რეგიონული და მუნიციპალური მმართველობის ორგანოები აგრეთვე გაფრთხილებული იყვნენ შეხვედრების თაობაზე. გარდა ამისა, პროექტის თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებში რეგულარულად იმყოფებიან სხვადასხვა სოფელში; ისინი აგრეთვე აფრთხილებდნენ მოსახლეობას დაგეგმილი შეხვედრების შესახებ.</p> <p>პროექტი თვლის, რომ ESIA ანგარიშები, არატექნიკური რეზიუმე და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებული ბროშურები დიდი რაოდენობით დარიგდა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში.</p>	-

4.2 რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან მიღებული შენიშვნები

ცხრილი 4-2:ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები – რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

შენიშვნა	№	ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
მიუერთდება თუ არა CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზა რეხასა და ავრანლოს? ამისთვის საჭირო იქნება გზის მხოლოდ 5 კმ-ით დაგრძელება.	285	რეხა	საჯარო შეხვედრა (TS)	მისასვლელი გზის მშენებლობა საჭიროა CSG2 სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის. ამიტომ გზა სრულდება სწორედ ამ წერტილში. ამ წერტილის შემდგომ გზის გაფართოების გეგმა ამ ეტაპზე არ არსებობს.	5.5.2
პროექტის ზემოქმედების არეალში რეხა ყველაზე ახლომდებარე სოფელია. რა სარგებელს მიიღებებს რეხა ამ პროექტიდან? მაგ.: გაზი, გზა?	283	რეხა	საჯარო შეხვედრა (TS)	მოსალოდნელია, რომ რეხა მიიღებს გარკვეულ შეზღუდულ სარგებელს, მათ შორის დასაქმების შესაძლებლობას CSG2 სადგურის მშენებლობის დროს და დასახლებებთან თანამშრომლობის გზით დასახლების განვითარების ინიციატივის განხორციელებას SCPX პროექტის ფარგლებში, რამაც შეიძლება მოიცვას დახმარება ინფრასტრუქტურის, განათლების ან სხვა ასპექტების განვითარებაში. დასახლების განვითარების ინიციატივის კონკრეტული დეტალები ჯერ არ არის განსაზღვრული.	10.14, თავი 13
მე ვმუშაობდი BP-ში 2.5 წლის მანძილზე. უცხოელებს ქონდათ 3-4-ჯერ მაღალი ხელფასი, ვიდრე ადგილობრივებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მსგავს სამუშაოებს ვასრულებდით.	282	წალკა	საჯარო შეხვედრა (TS)	მუშახელის ხელფასების განსაზღვრა მოხდება ნაციონალური და საერთაშორისო საბაზრო ფასების საფუძველზე. გარდა ამისა, ხელფასის განაკვეთი დამოკიდებული იქნება კვალიფიკაციის დონეზე.	-

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	№	ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
1 ჰა მიწის კომპენსაცია არის 50 000 ლარი. თუ პროექტი ზემოქმედებას მოახდენს 8მ ² მიწის ნაკვეთზე, როგორ მოხდება კომპენსაციის გაანგარიშება?	279	წალკა	საჯარო შეხვედრა (TS)	პროექტი კომპენსაციას გაიანგარიშებს პროპორციულად, ზეგავლენის ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთის ფართობის საფუძველზე.	10.13.6 – მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის კონცეფციისა და სახელმძღვანელოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
გაზი გაიფდება?	280	წალკა	საჯარო შეხვედრა (TS)	საქართველოში გაზის საბაზრო ფასის დადგენა არ წარმოადგენს სკმ გაზსადენის კომპანიის კომპეტენციას.	-
გთხოვთ, მოგვაწოდოთ გაზი.	275	წალკა	საჯარო შეხვედრა (TS)	დასახლებული პუნქტების გაზით უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა.	-

4.3 დამოუკიდებელი ორგანიზაციები

ცხრილი 4-3:ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები - დამოუკიდებელი ორგანიზაციები

შენიშვნა	№	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
სამეცნიერო და პროფესიული ორგანიზაციები					
<p>IBE, FAO და EU-ის მერ საქართველო აღიარებულია ზოოანთროპოზონური დაავადებების ბუნებრივ ზონად. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო ასობით საშიში ადგილი (მაგ.: ჯილეხი დაფიქსირდა 1600 ადგილას). ჯილეხი ბიოტერორიზმის პოტენციალის თვალსაზრისით კლასიფიცირებულია, როგორც პირველი ჯგუფის საშუალება.</p> <p>ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჯილეხის შემთხვევა დაფიქსირებული იქნა 485 ადგილას, კერძოდ: 129 გარდაბნის რაიონში (მათ შორის 45 უბანი ახლოსაა მილსადენთან); 48 - მარნეულში (მათ შორის 7 ადგილი მილსადენის ახლოს მდებარეობს); 60 - თეთრიწყაროში და 5 მილსადენის ახლოს; 90 - წალკაში და 41 მილსადენის მახლობლად; 46 - ადიგენში და 10 მილსადენის ახლოს; 63- ახალციხეში და 16 მილსადენის ახლოს.</p> <p>ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მიწის სამუშაოებმა გამოიწვია ახალი დაავადებების გავრცელება (მოყვანილია</p>	247	შპს “ვეტსანჰიგ-ეკოლოგია”	წერილობით	<p>არსებული BTC და SCP მილსადენებისთვის ყოველწლიური ეპიზოოტოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევები ტარდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ.</p> <p>აღნიშნული კვლევების შედეგები გადაიხედა SCPX-ის საპროექტო ტერიტორიებთან მიმართებაში და აღწერილია მე-8 ნაწილში. კომპანია ჩაატარებს კომპლექსურ ექსპერტიზას ჯილეხთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით პროექტმა აიღო ამ ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება (ვალდებულება 6-22). თუ მშენებლობის დროს აღმოჩენილი იქნება ცხოველთა სამარხები, სამშენებლო სამუშაოები ამ ადგილზე შეწყდება სანამ დაზიანებულ უბანზე კვალიფიციური პერსონალი აიღებს ნიმუშებს ჯილეხის რისკის განსასაზღვრად (ვალდებულება 6-25). კმ30-თან არსებული ცნობილი ჯილეხის სამარხის ღობე შენარჩუნებული იქნება მშენებლობის დროს, რათა ხელი შეეწყოს ამ უბნის დაცვას შეშფოთებისგან; მუშახელს ეცნობება ამ უბანთან დაკავშირებული რისკების და შეშფოთების გვერდის ავლის აუცილებლობის</p>	8.4.3 (ზოონოზები); 10.12.4 (ზოონოზები); ვალდებულებები 6-22, 6-25, X6-04

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	№	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
სხვადასხვა მაგალითი). შესაბამისად, ეპიზოტიური მდგომარეობის გათვალისწინებით პოტენციური რისკების თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია პრევენციული ზომების გატარება. გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ შესაძლო რისკები, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით გამოყოთ ფინანსები და SCPX-ის დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებში უზრუნველყოთ ლანდშაფტური-ეპოზოლოგიური-ეკოლოგიური მონიტორინგის გატარება.				შესახებ (ვალდებულება (X6-04). ESIA ანგარიშის დანართ D-ში მოცემულია დაბინძურების შემთხვევით აღმოჩენის პროცედურა; იგი გადაიხედა იმ ქმედებების აღსაწერად, რომლებიც უნდა გატარდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციური ზეგავლენის მქონე აღმოჩენის (მაგ., ცხოველის ნარჩენები) შემთხვევაში.	დანართი D 11.4.3
როგორ იქნება მილსადენი დაცული კოროზიისგან?	296	შპს „ნარგო“/ ტექნიკური უნივერსიტეტი	საჯარო შეხვედრა (TB)	SCPX მილსადენს კოროზიისაგან დაიცავს დენზე მომუშავე კათოდური დაცვის სისტემა, რომელიც სპეციალურად დაპროექტდება SCPX პროექტისათვის. მილსადენის გარე ზედაპირი ნიადაგისაგან იზოლირებული იქნება გარე, სამფენიანი, მაღალი სიმკვრივის მქონე პოლიეთილენით (HDPE). აღნიშნული საფარი შეამცირებს აღძრული დენის ნაკადით გამოწვეულ კოროზიის პოტენციალს, აგრეთვე ბუნებრივად არსებული ბიოლოგიური და ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეულ კოროზიას. თავი 5.3.1 განახლდა, რათა მასში წარმოდგენილი ყოფილიყო დამატებითი ინფორმაცია კოროზიისგან დაცვის სისტემის შესახებ. ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელდება რეგულარული ტექნიკური მომსახურება მილსადენის მთლიანობის შესამოწმებლად და	5.3.1; ვალდებულება D5-001 5.3.1 5.8.4

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	№	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
				კოროზიის აღმოჩენის შემთხვევაში, გამოსასწორებელი ზომების გასატარებლად.	
გთხოვთ აგვიხსნათ რას გულისხმობთ ტერმინში „ნიადაგის შესწავლა“?	297	ეკოლოგიის ინსტიტუტი	საჯარო შეხვედრა (TB)	პროექტმა განახორციელა ნიადაგის შესწავლა მისი გამტარობის გაზომვის მიზნით. უფრო მაღალი გამტარობის ნიადაგები საჭიროებს კათოდური დაცვის უფრო მაღალ დონეს. ნიადაგის შესწავლა აგრეთვე მოიცავს ნიადაგის თვისებებსა და ნაყოფიერების შესახებ მონაცემთა შეგროვებას, კომპლექსური აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.	7.3.3
ნიადაგის შესწავლის პროცესში იყო თუ არა გათვალისწინებული ცხოველის ან ადამიანის დაავადებების წარმოშობის რაიმე ნიშნების აღრიცხვა?	298	შპს “ვეტსანჰიგ-ეკოლოგია”	საჯარო შეხვედრა (TB)	ადამინისა და ცხოველის ჯანმრთელობის პირდაპირი გამოკვლევები არ ჩატარებულა პროექტის ფარგლებში. ფონური მდგომარეობის კვლევები მოიცავდა ზედაპირული დაბინძურების შესწავლას, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ადამიანებსა და გარემოზე და წყლის არსებული ხარისხის გამოკვლევებს.	8.3
აღრიცხულია დაავადებებით დახოცილ ცხოველთა 1600 სამარხი, რომელთაგან 457 მდებარეობს პროექტის ტერიტორიაზე. ჯილეხის თავიდან აცილების მიზნით ცხოველების ნაშთებს წვავდნენ და მარხავდნენ. სამარხების ზუსტი ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის. ყოველ სოფელში იყო, სულ მცირე, ერთი ასეთი სამარხი. როგორ აპირებთ ზემოაღნიშნული რისკის მართვას?	299	ეკოლოგიის ინსტიტუტი	საჯარო შეხვედრა (TB)	არსებული BTC და SCP მილსადენებისთვის ყოველწლიური ეპიზოოტოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევები ტარდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ. აღნიშნული კვლევების შედეგები გადაიხედა SCPX-ის საპროექტო ტერიტორიებთან მიმართებაში და აღწერილია მე-8 ნაწილში. კომპანია ჩაატარებს კომპლექსურ ექსპერტიზას ჯილეხთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით; პროექტმა აიღო ამ ექსპერტიზის ჩატარების	8.4.3 (ზოონოზები); 10.12.4 (ზოონოზები); ვალდებულებები 6-22, 6-25, X6-04

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	№	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
				<p>ვალდებულება (ვალდებულება 6-22). თუ მშენებლობის დროს აღმოჩენილი იქნება ცხოველთა სამარხები, სამშენებლო სამუშაოები ამ ადგილზე შეწყდება სანამ დაზიანებულ უბანზე კვალიფიციური პერსონალი აიღებს ნიმუშებს ჯილეხის რისკის განსასაზღვრად (ვალდებულება 6-25). კმ30-თან არსებული ცნობილი ჯილეხის სამარხის დობე შენარჩუნებული იქნება მშენებლობის დროს, რათა ხელი შეეწყოს ამ უბნის დაცვას შემფოთებისგან; მუშახელს ეცნობება ამ უბანთან დაკავშირებული რისკების და შემფოთების გვერდის ავლის აუცილებლობის შესახებ (ვალდებულება (X6-04).</p> <p>ESIA ანგარიშის დანართ D-ში მოცემულია დაბინძურების შემთხვევით აღმოჩენის პროცედურა; იგი გადაიხედა იმ ქმედებების აღსაწერად, რომლებიც უნდა გატარდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციური ზეგავლენის მქონე აღმოჩენის (მაგ., ცხოველის ნარჩენები) შემთხვევაში.</p>	დანართი D 11.4.13.2
საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობა რადიკალურად იცვლება ბოლო ხანებში - გახშირდა წვიმები, რაც ზემოქმედებას ახდენს ასიმილაციაზე. იქნება ზემოაღნიშნული მიღებული მხედველობაში?	300	შპს “ვეტსანჰიგ-ეკოლოგია”	საჯარო შეხვედრა (TB)	ჩვენ გავითვალისწინეთ შემოთავაზებულ საპროექტო ტერიტორიებზე ჯილეხის არსებობასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები და ავიღეთ კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება (იხ. პასუხი 299-ე შენიშვნაზე, რომელიც ზემოთაა მოცემული)	

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	№	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
მედია საშუალებები					
რა სახის ცვლილებები მოხდება ვალეში, გარდაბანსა და ახალციხეში? რა ცვლილებები იქნება რუსთავში?	304	ქვემო ქართლის ახალი ამბების პორტალი, www.kkpress.ge	საჯარო შეხვედრა (RU)	რუსთავის რეგიონში ახალი მილსადენის მონტაჟი მოხდება BTC და SCP მილსადენების მომიჯნავედ. შემოთავაზებული მილსადენის სიგრძე იქნება 56 კმ; იგი დაიწყება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან და დასრულდება ტექნიკური მომსახურების სადგურზე, მარნეულის საზღვრებს გარეთ მდებარე უბანზე. საკომპრესორო სადგურები აშენდება გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში, ხოლო წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური - ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალესთან ახლოს. თავს 5.3.1 დამატება დამატებითი ინფორმაცია ჩამკეტი სარქველისა და მილსადენის დგუმის სადგურის შემდგომი აღწერის მიზნით.	თავი 05
SCPX პროექტი ტრანსპორტირებული გაზის მოცულობას გაზრდის 16 მილიარდი კუბური მეტრით: 6 - თურქეთისთვის და 10 - ევროპის ქვეყნებისათვის. რა სარგებელს მიიღებს საქართველო?	305	ქვემო ქართლის ახალი ამბების პორტალი, www.kkpress.ge	საჯარო შეხვედრა (RU)	სკმ სისტემის გაფართოების შედეგად საქართველო მიიღებს დამატებით გაზს. სკმ პროექტის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომლითაც ხდება SCPX პროექტის განხორციელება, საქართველო მიიღებს საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებული გაზის მოცულობის 5%-ს. ეს ნიშნავს 0.76 მილიარდი კუბური მეტრი დამატებითი გაზის მიღებას წელიწადში.	5.5.1

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	№	ორგანიზაციის სახელწოდება	ფორმატი	გაცემული პასუხი	ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი
ინფორმაცია საჯარო შეხვედრების შესახებ გავრცელებული იყო მთელ ქვემო ქართლის რეგიონში?	301	ქვემო ქართლის ახალი ამბების პორტალი, www.kkpress.ge	საჯარო შეხვედრა (RU)	საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა: (1) ცენტრალურ რეგიონულ პრესაში 29 მაისს, ESIA ანგარიშის საჯარო განხილვის დაწყებამდე 1 დღით ადრე; (2) გარდა ამისა, პროექტმა წერილობითი შეტყობინებები გაუგზავნა მხარეების გუბერნატორებს და მუნიციპალური მმართველობის ორგანოებს; (3) პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში დარიგდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებული ბროშურები ქართულ და რუსულ ენებზე; და (4) საჯარო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია განთავსდა სარეკლამო აბრეშუხე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში.	თავი 09; დანართი C1: საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა
მდინარე ალგეთის კალაპოტი შეიცვლება?	302	ქვემო ქართლის ახალი ამბების პორტალი, www.kkpress.ge	საჯარო შეხვედრა (RU)	მდინარე ალგეთის კალაპოტზე ნებისმიერი ზემოქმედება, სავარაუდოდ, დროებითი იქნება და შემოიფარგლება მილსადენის მშენებლობის პერიოდით. ჩატარდება მდინარის კალაპოტისა და ნაპირების კომპლექსური აღდგენა და ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელდება მონიტორინგი. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოხდება ექსპლუატაციის ეტაპზე, დაექვემდებარება მონიტორინგს, ხოლო ცვლილებები, რომლებიც მილსადენს პოტენციურ რისკს უქმნის, გამოსწორდება მილსადენის ტექნიკური მომსახურების პროგრამის ფარგლებში.	10.3.4; 10.5.4

4.4 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობის მიერ გამოთქმული შენიშვნები, ჩვეულებრივ, ეხებოდა რამდენიმე საერთო თემას, რომელიც გაერთიანდა შესაბამის ცალკეულ საკითხად, ქვემოთ მოყვანილი საერთო ფორმატის გამოყენებით (სურათი 4-1).

საკითხის რეზიუმე: [საკითხის სახელწოდება]

<p>საკითხის აღწერა</p> <p>[აღნიშნულ საკითხზე მიღებული გამოხმაურების კონსოლიდირებული რეზიუმე]</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</p> <p>[შენიშვნების უნიკალური ნომრების ჩამონათვალი, რომლებიც განხილულია წინამდებარე საკითხის რეზიუმეში. ეს ჩამონათვალი, დანართ 1-თან ერთად, დაინტერესებულ პირებს უადვილებს კონკრეტულ შენიშვნებზე გაცემული პასუხების მოძიებას]</p>
<p>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</p> <p>[საჭიროებისამებრ, მითითებულია ESIA ანგარიშის შესაბამისი თავები, ვალდებულებების ნომრების ჩათვლით, სადაც განხილულია მოცემული საკითხი ან რომელიც შესწორდა მოცემული საკითხის გათვალისწინების საფუძველზე]</p>

სურათი 4-1: საკითხზე გაცემული პასუხის რეზიუმეს ფორმატი

თავებში 4.4.1-4.4.11 მოცემულია ყველა საკითხის რეზიუმეები, ხოლო შენიშვნების სრული ნუსხა მოყვანილია დანართ 1-ში.

4.4.1 საკითხის რეზიუმე: ეკოლოგიური ზემოქმედებები

<p>საკითხის აღწერა</p> <p>რამდენიმე შეიშვნაში დასმული იყო შეკითხვა გარემოზე პროექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შესახებ და გამოთქმული იყო მოთხოვნა, რომ პროექტს განესაზღვრა შესაბამისი შემარბილებელი ზომები.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</p> <p>250, 255, 257, 259, 248, 252</p>
<p>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</p> <p>ESIA წარმოადგენს მცდელობას სისტემატურად და სრულყოფილად განიხილოს პროექტის ყველა ცნობილი ასპექტი, რომელსაც გააჩნია ეკოლოგიური ან სოციალური ზემოქმედების გამოწვევის პოტენციალი. ESIA ანგარიშში შეფასებულია ეკოლოგიური ზემოქმედების სახეები (რომლებიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ზემოქმედება ნიადაგზე, ლანდშაფტზე, ჰაერის ხარისხზე, გარემო ხმაურზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე და ეკოლოგიურ პირობებზე) და შემოთავაზებულია შემარბილებელი ზომების ფართო სპექტრი.</p> <p>გამოვლინდა რამდენიმე სახის ნარჩენი ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება მილსადენის მშენებლობასა და ობიექტების ექსპლუატაციას. მიუხედავად ამისა, პროექტი ეცდება მოახდინოს ნებისმიერი ნარჩენი ზემოქმედების მართვა, გულდასმითი მენეჯმენტით (ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი კვლევების ჩატარებით, სენსიტიურობასთან დაკავშირებული</p>

გაურკვევლობის აღმოფხვრის / შემცირების მიზნით) და წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი შემარბილებელი ზომების განხორციელებით.

პროექტმა აიღო ვალდებულება, განახორციელოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (იგივე მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც აღწერილია მოცემულ ESIA ანგარიშში) იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება დამატებითი უბნები, მოცემულ ანგარიშში აღწერილი საპროექტო ტერიტორიების გარდა; შეფასების მასშტაბი დამოკიდებული იქნება დაგეგმილ საქმიანობასა და შესაბამისი ტერიტორიის სენსიტიურობაზე (ვალდებულება 39-01, 39-02 და 39-03). დამატებითი ფართობების საჭიროების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული შეფასება გამოავლენს დამატებით შემარბილებელ ზომებს, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნება პოტენციური ზემოქმედებების შესამცირებლად.

ეკოლოგიურ ზემოქმედებებთან დაკავშირებული შემარბილებელი ზომები განსაზღვრულია წინამდებარე ESIA ანგარიშის მე-10 თავში (თავები 10.2 – 10.10).

დამატებული იქნა ზოგიერთი დამატებითი ზემოქმედება და შემარბილებელი ზომა ზემოქმედების შეფასების განხილვის შემდგომ საჯარო განხილვის პროცესში მიღებული ზოგადი შეკითხვების საპასუხოდ. მაგალითად:

- თავი 10.3.3 - ცხრილი 10-3: ნამეტი ნიადაგის ქვედა ფენისა და აგრეგატის განთავსებით გამოწვეული ზემოქმედება ნიადაგის სტრუქტურასა და ნაყოფიერებაზე
- თავი 10.4.3 - ცხრილი 10-7: დაემატა დამატებითი შემარბილებელი ზომები ლანდშაფტზე და ვიზუალურ მხარეზე ზემოქმედების შესარბილებლად
- თავი 10.5.3 - ცხრილი 10-9: დაემატა დამატებითი შემარბილებელი ზომები ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედებების შესარბილებლად
- თავი 10.6.3 - ცხრილი 10-11: დაემატა დამატებითი შემარბილებელი ზომები მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებების შესარბილებლად

ასევე, დოკუმენტის განხილვის შემდგომ მოხდა მეორადი ზემოქმედებების იდენტიფიკაცია დანართში B2 და დანართში B3 და თავში 14; განმარტებები მოცემულია თავში 10.1.5.

ცალკეული ცვლილებები სრულად აღწერილია დანართში C3.

4.4.2 საკითხის რეზიუმე: კონსულტაციები

საკითხის აღწერა

ერთ შენიშვნაში გამოთქმული იყო მოთხოვნა, რომ პროექტს ჩაეტარებინა კონსულტაციები საზოგადოების წევრებთან შემოთავაზებული SCPX პროექტის შესახებ.

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

265

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

2011 წლის მე-3 – 4 კვარტლებში პროექტმა ჩაატარა წინასწარი კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ქვეყნის ხელისუფლებასთან, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან (შეხვედრებზე მოწვეულები იყვნენ იმ დროისათვის გამოვლენილი, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ყველა დასახლების წევრები). აღნიშნული კონსულტაციების დროს მიღებული შენიშვნები /

გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა ESIA ანგარიშის პროექტში.

ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა და კონსულტაციები ჩატარდა 2012 წლის ივნის-ივლისში. ESIA ანგარიშის პროექტი, არატექნიკური რეზიუმესა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებული ბროშურის (რომელშიც შეჯამებული იყო ESIA და მისი შედეგები) ჩათვლით, გამოქვეყნდა და ხელმისაწვდომი გახდა საჯარო განხილვისათვის. დოკუმენტების პროექტზე გამოხმაურების მიღების მექანიზმები მოიცავდა შენიშვნის / მოსაზრების გამოთქმის ბლანკს / ფორმას, ტელეფონით დაკავშირებას, წერილის გაგზავნას ან შესაბამისი საკითხის განხილვას პროექტის თანამშრომლებთან ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებში ან დასწრებას ოთხიდან ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე, რომლებიც ჩატარდა თბილისში, რუსთავეში, წალკასა და ახალციხეში.

კონსულტაციების პროცესი და მისი შედეგები დაწვრილებითაა აღწერილი მე-9 ნაწილში, დანართი C1-ში - საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა და წინამდებარე დანართში.

4.4.3 საკითხის რეზიუმე: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება - დასაქმების შესაძლებლობები

საკითხის აღწერა

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობიდან მიღებული შენიშვნების უდიდესი ნაწილი ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. შემოთავაზებული SCPX მილსადენისა და ობიექტების მიდამოებში მდებარე დასახლებებში უმუშევრობის დონე მაღალია; შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნაა SCPX პროექტში დასაქმების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

248, 249, 251-256, 258-267, 271

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

პროექტმა გამოავლინა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები; აღნიშნული დასახლებული პუნქტები აღწერილია ESIA ანგარიშის თავ 9.4.2-ში. ეს ის პუნქტებია, რომლებიც მდებარეობს საპროექტო ობიექტებიდან შემდეგი დაშორების საზღვრებში:

- მილსადენი (ჩამკეტი სარქველებისა და დგუმის მომსახურების სადგურის ჩათვლით): ცენტრალური ხაზიდან 2 კმ რადიუსში, ე.ი. 4 კმ სიგანის ზონაში
- სამშენებლო ბანაკები, საკომპრესორო და წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურები: დაგეგმილი ობიექტის ტერიტორიის ცენტრალური წერტილიდან 5 კმ რადიუსში.

ESIA ანგარიშში აღებული რამდენიმე ვალდებულება ეხება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავების დროს უპირატესობა მიენიჭება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობას (28-02); პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებიდან მუშახელის დაქირავების მიზნები შეთანხმებული იქნება კონტრაქტორთან (28-04).

ბანაკის შიგნით არსებულ სამუშაო ადგილებზე (მაგ.: მზარეული, ეკონომი და სხვ.) პროექტი უპირატესობას მიანიჭებს ადამიანებს სამშენებლო ბანაკის PAC-ებიდან, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში (28-23). თავი 10.14.3 (პოტენციური ზემოქმედებები ეკონომიკაზე, დასაქმებაზე, უნარ-ჩვევებსა და საარსებო საშუალებებზე) ხელმეორედ იქნა განხილილი და მას დაემატა ვალდებულებები 28-15, 28-17, 28-22 და 28-05, რომლებიც შემუშავებულია ზემოქმედებების შესარბილებლად დასაქმებასთან დაკავშირებული მოლოდინის გაუმართლებლობასა და ადგილობრივ საწარმოებიდან დასაქმებულთა დაკარგვასთან მიმართებაში. პოტენციური ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება

ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას ადგილობრივი კონტრაქტორების/მუშახელის პროექტისგან მოშორებული რეგიონებიდან დასაქმებასთან დაკავშირებით, დაემატა არსებულ ზემოქმედებებს, მოხდა მისი შემარბილებელი ზომების შემუშავება და იგი შეფასდა როგორც დაბალი მნიშვნელობის ნარჩენი ზემოქმედების მქონე.

ხელმისაწვდომი დასაქმების უდიდესი ნაწილი დროებითი იქნება; დასაქმების პერიოდი უმეტესწილად პროექტის მშენებლობის ეტაპით შემოიფარგლება.

4.4.4 საკითხის რეზიუმე: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება – შერჩევის პროცესი

საკითხის აღწერა:

რამდენიმე შეკითხვა ეხებოდა დასაქმებისათვის შერჩევის პროცესს, შერჩევის ჩატარების დროს, კვალიფიციური მუშახელის დასაქმების შესაძლებლობებს და წარსულში, BTC და SCP პროექტების მშენებლობის დროს დაქირავებული პერსონალის ხელმეორედ დასაქმების შესაძლებლობებს.

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

286, 289, 291, 292

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

SCPX ESIA ანგარიშში აღებულია ვალდებულება, რომ დასაქმების პროცედურები იქნება გამჭვირვალე, საჯარო და არა-დისკრიმინაციული და ღია ყველასათვის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა რელიგიისა, სქესობრივი ორიენტაციისა, უნარშეზღუდულობისა თუ სქესისა (28-06). სამუშაოზე დაქირავების პროცესის დაწყებამდე შემუშავდება სამუშაოს ამომწურავი აღწერა, სადაც მოცემულია იქნება თითოეული პოზიციისათვის აუცილებელი უნარები (28-07). PAC-ებს ეცნობებათ ვაკანტური სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ (დასაქმების მიზნების მიხედვით) შესაბამისი და ხელმისაწვდომი მედია საშუალებებით (28-17). მაგ., განცხადება არაკვალიფიციური მუშახელის ვაკანსიებზე, სავარაუდოდ, გავრცელდება დასახლებებში გაზეთებით ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით; ნახევრადკვალიფიციურ ან კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი განცხადება განთავსდება არამარტო გაზეთებში, არამედ ინტერნეტშიც. სამუშაოზე მისაღებად შევსებული განაცხადები განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარდგენა მოხდება განაცხადების შევსების ოფიციალური პროცედურების მიხედვით (28-03). აღნიშნული ზომები აღწერილია ESIA ანგარიშის თავ 10.14-ში, ხოლო უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოყვანილია დანართ D-ში - ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მართვისა და მონიტორინგის გეგმა.

ამ ეტაპზე პროექტი ვერ განსაზღვრავს დასაქმების კონკრეტულ მოცულობას; მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ თანამდებობაზე უპირატესობა მიენიჭება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მაცხოვრებლებს, სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობას არ ეკრძალება განაცხადის შევსება. კვალიფიციური პერსონალის, მათ შორის წარსულში BTC და SCP პროექტებში მუშაობის გამოცდილების მქონე პირების, დასაქმება შესაძლებელია. თითოეულ საპროექტო ტერიტორიაზე მუშახელის შერჩევის პროცესი დაიწყება სამშენებლო სამუშაოებამდე. დასაქმების შესაძლებლობა უფრო დაბალი იქნება პროექტის საწყის ეტაპზე და გაიზრდება, როდესაც დაიწყება ძირითადი ობიექტებისა და მილსადენის მშენებლობა. დასაქმების პროცესის კონკრეტული თარიღები განისაზღვრება მშენებლობის კონტრაქტორის მიერ, პროექტთან შეთანხმებით და ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში.

4.4.5 საკითხის რეზიუმე: საქართველოს სარგებელი

<p>საკითხის აღწერა: ერთი შენიშვნა ეხებოდა პროექტის ზეგავლენას ეკონომიკაზე.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 253</p>
<p>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: პროექტის ფარგლებში არსებული დასაქმების შესაძლებლობების უმეტესობა დროებითია და უკავშირდება სამშენებლო ეტაპს. მოსალოდნელია, რომ პროექტმა გარკვეული დამატებითი სარგებელი მოუტანოს საქართველოს ეკონომიკას, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯზე, განსაკუთრებით მშენებლობის ეტაპზე.</p>

4.4.6 საკითხის რეზიუმე: ინფრასტრუქტურა – CSG2 საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზა

<p>საკითხის აღწერა: წალკაში ჩატარებულ საჯარო შეხვედრაზე დაისვა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული შეკითხვები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იყო CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზის მარშრუტზე და მისი შერჩევის პროცესზე; შეკითხვა აგრეთვე ეხებოდა იმას, აპირებდა თუ არა პროექტი სხვა დასახლებული პუნქტების დაკავშირებას ახალ მისასვლელ გზასთან და ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებდა თუ არა ამ გზით სარგებლობას. ზოგიერთი შენიშვნა გულისხმობდა, რომ ფონური კვლევების პერიოდში პროექტმა აიღო ახალ მისასვლელ გზასთან ადგილობრივი დასახლებების დაკავშირების ვალდებულება. გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოითქვა შემოთავაზება ახალი მისასვლელი გზის არსებულ ინფრასტრუქტურაზე შესაძლო ზეგავლენასთან დაკავშირებით; ამ ინფრასტრუქტურაში იგულისხმებოდა წყალსადენი და სოფ. კუშამდე გაზსადენის მიყვანის გეგმა.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 276, 281, 284, 288, 290, 268, 289, 290, 308</p>
<p>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: ESIA პროცესის საკვანძო ეტაპია პოტენციური ალტერნატიული ვარიანტების შეფასება. CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზა შეფასდა მულტიდისციპლინური პერსპექტივიდან, რომლის უმთავრესი პრინციპი მდგომარეობდა იმაში, რომ მისასვლელი გზა, რამდენადაც შესაძლებელია, არ უნდა კვეთდეს დასახლებულ პუნქტებს. აღნიშნულის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შემცირება; აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობის შეწყუბების პოტენციური დონის შემცირება იმის გათვალისწინებით, რომ დიდი რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებები, დანადგარები და მოწყობილობები იმოდრავებენ მისასვლელი გზისა და საკომპრესორო სადგურის მშენებლობის დროს. გზის დაზუსტებული ვარიანტი, შესაძლებლობის ფარგლებში, მიუყვება არსებულ გრუნტის გზებს, საპროექტო ტერიტორიების ფართობის გაზრდის შესამცირებლად და, რამდენადაც შესაძლებელია, გვერდს უვლის ისეთ შეზღუდვებს, როგორცაა კულტურული მემკვიდრეობა და ხე-მცენარეების ნარგაობები. მისასვლელი გზა შენდება CSG2 სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად; შესაბამისად, გზა დასრულდება სადგურთან და ამჟამად დაგეგმილი არაა ამ გზის გაგრძელება. ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს ამ გზით სარგებლობას, თუმცა</p>

შეიძლება ადგილი ქონდეს სარგებლობის გარკვეულ შეზღუდვას, უმთავრესად სამშენებლო ეტაპზე, რაც აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე.

პროექტს არ აუღია ამ ტერიტორიაზე გზების უზრუნველყოფის ვალდებულება, გარდა CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზისა, რომელიც ნაჩვენებია ESIA ანგარიშში, არატექნიკურ რეზიუმესა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომზადებულ ბუკლეტში. ESIA-ის ფარგლებში განხორციელდა სოციო-ეკონომიკური კვლევები დასახლებულ პუნქტებში არსებული ფონური მდგომარეობის დასაფიქსირებლად.

პროექტს გააჩნია ინფორმაცია სოფ. კუშჩის მიდამოებში არსებულ წყალსადენზე; წყალსადენის მდებარეობა გათვალისწინებული იქნება მისასვლელი გზის დაპროექტების პროცესში. ამ ეტაპზე პროექტი გამორიცხავს, რომ მისასვლელი გზა შეგავლენას მოახდენს წყალსადენზე. დამატებული იქნა ახალი ვალდებულება (37-20), რომელიც შეეხება ყველა ახალ მისასვლელ გზას და გულისხმობს მულტი-დისციპლინარულ შეფასება მათ შერჩევამდე.

კონტრაქტორი მოამზადებს სამუშაოს შესრულების მეთოდის აღწერას, რომელიც უნდა მოიცავდეს მესამე მხარის კომუნიკაციების მთლიანობის დაცვის ღონისძიებებს და მისაღები უნდა იყოს მომსახურების ოპერატორისათვის (35-01); აგრეთვე მესამე მხარეების მომსახურებისათვის მიყენებული ნებისმიერი დაზიანება დაუყოვნებლივ შეკეთდება მომსახურების ოპერატორთან კონსულტაციის საფუძველზე ან მომსახურების ოპერატორის მიერ (35-02). მესამე მხარის ქონებაზე ზემოქმედების მქონე სამუშაოების დაწყებამდე დაიდება სამუშაოების დაწყების წინა ხელშეკრულება, აღდგენის მოთხოვნების ჩათვლით (35-09); გარდა ამისა, მომსახურების ნებისმიერი დაგეგმილი ცვლილების შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ადგილობრივ ხელისუფლებასა და შეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობას სამუშაოების დაწყებამდე სულ მცირე 72 სთ-ით ადრე (35-03). კომპლექსური აღდგენის აღწერას თავში 5.7.3 დაემატა დამატებითი ტექსტი, რომელიც შეეხება არსებულ გზებს, კომუნიკაციებსა და სხვა ობიექტებს; ამ ობიექტების აღდგენა მოხდება სულ მცირე ისეთ მდგომარეობამდე, როგორც იყო მშენებლობის დაწყებამდე.

4.4.7 საკითხის რეზიუმე: მიწა და შემოსავლები – საარსებო საშუალებების მოშლა

საკითხის აღწერა:

რამდენიმე შენიშვნაში დაისვა შეკითხვა პროექტის მიერ მეფუტკრეობისა და მესაქონლეობისაგან მიღებული შემოსავლების შემცირების შესაძლებლობის შესახებ, განსაკუთრებით, CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზის გასწვრივ. გარდა ამისა, წალკის შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროექტის სატრანსპორტო საშუალებებმა დააზიანეს სათიბები.

საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

257, 261, 272, 308

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

მეფუტკრეობა

ESIA-ში განხილულია ფუტკრეობა და თავლის წარმოებაზე პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის პოტენციური ზემოქმედება (თავი 10.14). კონტრაქტორის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცირი თავლის მოსავლის აღების სეზონამდე შეარჩევს მეფუტკრეობს, რომელთა სკები მილსადენის და ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ბანაკის და მიწების შესანახი უბნების ან მისასვლელი გზების 300მ რადიუსში მდებარეობს. ამ მეფუტკრეობს მიმართავენ თხოვნით გადაიტანონ საკუთარი სკები (როგორც გადასატანი, ისე სტაციონარული სკები) სათანადო მანძილზე (სულ მცირე 300 მ) მარშრუტიდან სეზონის მანძილზე (24-05). პროექტის უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში კომპანიის მიერ

შემუშავებული და განხორციელებული იქნება მეფუტკრეებისთვის კომპენსაციის გადახდის პოლიტიკა (24-06).

მესაქონლეობა

ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებლებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზა კვეთს ბილიკებს, რომლებითაც ისინი სარგებლობენ საქონლისა და ცხვრის გადასარეკად. ამ შენიშვნის პასუხად, პროექტმა შეიმუშავა შემდეგი გენერალისტური შემარბილებელი ღონისძიება: „პროექტი ეცდება განსაზღვროს იყენებენ თუ არა მწყემსები სამშენებლო უბნებს და გამართოს მათთან კონსულტაციები მშენებლობის დროს შესაძლო შეზღუდვების შესახებ (32-17)“. გარდა ამისა, შესწორდა კონკრეტული შემარბილებელი ზომა CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზით მოსარგებლე მესაქონლეებთან კონსულტაციის აუცილებლობის გასათვალისწინებლად: მშენებლობის დაწყებამდე ჩატარდება კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან და მესაქონლეებთან CSG2-ის და CSG2 მისასვლელი გზის სიახლოვეს მდებარე სამოვრებთან მისასვლელი გზების შესახებ, რათა განისაზღვროს სამოვრებთან მისასვლელი ალტერნატიული გზები (X13-02)“. აგრეთვე შემუშავდა ახალი შემარბილებელი ზომა, რომელიც ითვალისწინებს გამაფრთხილებელი ბარიერების ან ნიშნების დაყენებას მილსადენის ან მისასვლელი გზების გადაკვეთებზე, რომლებითაც ადგილობრივი მოსახლეობა ინტენსიურად სარგებლობს (20-03). თავი 10.13 განახლებული იქნა, რათა ასახული ყოფილიყო ეს ცვლილებები.

მოსავლის დაზიანება

ერთი შენიშვნა აგრეთვე ეხებოდა პროექტის სატრანსპორტო საშუალებას: ადგილობრივმა მოსახლემ განაცხადა, რომ პროექტის სატრანსპორტო საშუალებები გადაადგილდებოდნენ მათ სამოვრებზე და დააზიანეს სათიბები. პროექტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ასეთი საკითხების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პროექტის თანამშრომლებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებში (რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრას, სადაც ეს შენიშვნა გამოითქვა) საჩივრის წარდგენის პროცედურის შესაბამისად, რის შემდეგ მოხდება დასმული საკითხის სათანადო მართვა. მტვრის წარმოქმნის შემცირების ზომები ასევე შეამცირებს პოტენციურ ზემოქმედებებს, რომელიც შესაძლოა მტვერს ქონდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე; ასევე, შემარბილებელი ზომები 4-09, 24-07, 33-01 და 33-18 დაემატა ცხრილს 10-19, რამდენადაც ისინი ასევე შემუშავებულია მტვრის წარმოქმნის ზემოქმედების შესარბილებლად.

თავში 10.13 განხილილი იყო მიწის ადების ზემოქმედება მიწასთან დაკავშირებულ საარსებო საშუალებებზე, და მას სისრულისათვის დაემატა მეორადი ზემოქმედებები საარსებო საშუალებებზე და შესაბამისი შემარბილებელი ზომები, რომლებიც უკავშირდება: ნიადაგის დატკეპნვას; ნიადაგის ეროზიას და სედიმენტების ჩამონატანს, რაც გამოწვეულია მცენარეულობის მოცილებითა და მიწის ზედაპირის შეშფოთებით; ნიადაგის სტრუქტურის, ნაყოფიერებისა და თესლის ბანკის დაკარგვას; წყალდიდობებს, რომლებიც გამოწვეულია მდინარეების დინების შეფერხებით ან ზედაპირული დინებებით და მტვრის წარმოქმნას, განსაკუთრებით სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად, ასევე ამოთხრილი მასალის შენახვასა და ბეტონის შემრევი დანადგარის მუშაობას. ამ თავში ასევე შეტანილი იქნა ზემოქმედებები სარწყავ არხებზე და მეორადი ზემოქმედებები სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. ასევე დამატებული იქნა ახალი ვალდებულება 36-03, რომელიც შეეხება მოსავლის საკომპენსაციო პროცედურის ამოქმედებას მესამე მხარის კუთვნილი მიწისა ან სასოფლო-სამეურნეო კულტურებასთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.

4.4.8 საკითხის რეზიუმე: მიწა და შემოსავლები – კომპენსაცია

<p>საკითხის აღწერა:</p> <p>შეკითხვების რიგი ეხებოდა მიწაზე კომპენსაციის მიღებას; დაისვა კონკრეტული შეკითხვები კომპენსაციის თანხის გაანგარიშების, სახელმწიფო მიწაზე კომპენსაციის მიღებისა და უთანხმოებების გადაჭრის გზების შესახებ.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</p> <p>293, 294, 248, 252</p>
<p>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</p> <p>SCPX პროექტის მიწის შეძენისა და კომპენსაციის პროცესი დოკუმენტირებული და გამოქვეყნებულია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მოსავლის ღირებულება ემყარება საბაზრო ღირებულებას, რომელიც დადგენილია სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე SCPX-ის საპროექტო ტერიტორიებზე, ე.ი., გარდაბნის, მარნეულის, წალკისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასი თუ უფრო დაბალი იქნა, ვიდრე BTC / SCP პროექტების დროს გადახდილი თანხა, SCPX გასამოიყენებს უფრო მაღალ განაკვეთს. მიწისა და მოსავლის ფასები განმარტებულია მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოში, რომელიც მიეწოდება თითოეულ მიწის მესაკუთრეს მიწის შეძენის პროცესის დაწყებამდე.</p> <p>SCPX პროექტი მიწას შეიძენს რეგისტრირებული მიწის მესაკუთრისაგან; რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს კერძო, კოლექტიური სარგებლობის ან სახელმწიფო. პროექტი იმუშავებს მიწის მესაკუთრეებთან მის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ხელშეწყობის მიზნით. კოლექტიური სარგებლობის ნაკვეთების კომპენსაცია იგივე იქნება, რაც კერძო ნაკვეთების შემთხვევაში. ინდივიდუალური მოსარგებლეები მიიღებენ მოსავლის კომპენსაციას. პირები, რომელთა სახელმწიფო ან მუნიციპალური მიწით სარგებლობის უფლება რეგისტრირებულია, არ მიიღებენ მიწაზე კომპენსაციას; ისინი მიიღებენ მოსავლის კომპენსაციას შესაბამის შემთხვევაში.</p> <p>პროექტმა განახორციელა საჩივრების წარდგენა / მიღების პროცედურა. პროექტი ეცდება საჩივარი მოაგვაროს, პირველ რიგში, მომჩივანთან შეთანხმების გზით და არა სასამართლო სისტემის საშუალებით. საჩივრების წარდგენა / მიღების პროცედურა ნებაყოფლობითა მომჩივანისათვის და არ ზღუდავს მის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლებებს, მათ შორის - ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოში მიმართვის უფლებას.</p>

4.4.9 საკითხის რეზიუმე: ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება

<p>საკითხის აღწერა:</p> <p>რამდენიმე შენიშვნაში გამოითქვა შეშფოთება მილსადენისა და დასახლებული პუნქტების სიახლოვის გამო (საინტერესოა, რომ ეს საკითხი დაისვა წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ, სადაც SCPX პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი მილსადენის მშენებლობას) და, ზოგადად, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე პროექტის პოტენციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</p> <p>256, 257, 264, 266</p>

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

ESIA ანგარიში მოიცავს მილსადენსა და მის ობიექტებთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების შეფასებას (მე-12 თავი) და შემარბილებელი ზომების დამუშავებას საინჟინრო დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე. SCPX პროექტის ობიექტები და მილსადენი დაპროექტდება ბუნებრივი აირის მილსადენების სფეროს საერთაშორისო სტანდარტებით. განხორციელდა შესაბამისი შეფასება ახალი მილსადენის არსებული BTC / SCP მილსადენებიდან უსაფრთხო დაშორების გადასამოწმებლად; აქედან გამომდინარე, SCPX პროექტის ზემოქმედება არსებულ მილსადენებზე მოსალოდნელი არაა. ESIA-ს მე-5 თავი განახლებული იქნა, რათა მასში წარმოდგენილი ყოფილიყო დამატებითი ინფორმაცია მილსადენის დაპროექტების საფუძვლების, კოროზიისგან დაცვის სისტემისა და უსაფრთხოების ფაქტორების შესახებ.

ობიექტები აღჭურვილი იქნება რამდენიმე უსაფრთხოების სისტემით, როგორცაა პროცესის კონტროლი, ხანძრისა და გაზის აღმოჩენა, ლოკალური ავარიული გათიშვის სისტემები; გარდა ამისა, ჩატარდა მოდელირება ობიექტებზე ინციდენტის პოტენციური ზემოქმედებების შესაფასებლად. თითოეული ობიექტი ისეა დაპროექტებული, რომ ავარიის შემთხვევაში შესაძლებელია გაზის გაშვება ატმოსფეროში 15 წთ-ში მაღალი საკვამურის საშუალებით. ობიექტის საზღვრებს გარეთ, მოსახლეობისათვის რისკი ძალიან დაბალია. აგრეთვე განხორციელდება მილსადენისა და ობიექტების ინსპექტირების ყოვლისმომცველი პროგრამა. როცა მილსადენი შევა ექსპლუატაციაში, მოხდება გასხვების დერეფნის გასწვრივ მილსადენის რეგულარული პატრულირება ცხენოსანი პატრულის, ავტომობილიანი პატრულის (არსებული მისასვლელი გზების გამოყენებით) და უსაფრთხოების პატრულის მიერ, რათა შემცირებული იქნას მესამე მხარის შემოჭრის რისკი (OP121).

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას ჩაუტარდება სწავლებები ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებაში გათვითცნობიერების დონის ასამაღლებლად. იმ ადგილებში, სადაც სკოლები ძალიან ახლოს მდებარეობს გზასთან, რომელზეც მოძრაობს SCPX სატრანსპორტო საშუალებები, სამშენებლო კონტრაქტორი დაგეგმავს სამუშაოებს, რომლებიც შეამცირებს მძიმე ტვირთების გადაზიდვებს დღის იმ მონაკვეთებში, როდესაც ბავშვების სკოლაში მისვლის ან სკოლიდან წამოსვლის ალბათობა მაღალია (37-06). პროექტის სამუშაო უბნებთან მისასვლელი გზების (BTC/SCP მშენებლობისას გამოყენებული გზების გარდა) შემდგომი შერჩევასა მოხდება ისეთი სენსიტიური რეცეპტორების გვერდის ავლა, როგორცაა დასახლებების ცენტრები, საავადმყოფოები, კლინიკები და სკოლები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი (30-22). დამატებული იქნა ახალი ვალდებულება, რომლის თანახმად კონტრაქტორმა უნდა გამოიყენოს წინასწარ განსაზღვრული მისასვლელი გზები და ნებისმიერი ახალი გზის გამოყენებისას, რომელიც არ არის პროექტისთვის განსაზღვრული მისასვლელი გზა, მოითხოვოს თანხმობა კომპანიისგან (30-24). სენსიტიურ ადგილებში, სადაც პროექტი სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებისთვის გამოიყენებს ადგილობრივ გზებს და კერძოდ, გზებს, რომლებთანაც ახლოს მდებარეობს სკოლები და სავაჭრო ადგილები, მოხდება უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრების და სკოლაში გაკვეთილების ჩატარების გზით (30-02). ექსპლუატაციის ეტაპზე მიმდინარე კავშირი უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე თანამშრომლების მიერ.

საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვების საპასუხოდ, განხილული და განახლებული იქნა თავი 10.12 (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, უსაფრთხოება და უშიშროება). აღნიშნულ თავში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები:

- საველე სამუშაოებთან და დაღვრებთან დაკავშირებული, შემარბილებელი ზომების გატარების შემდგომი ზემოქმედების სიდიდე შეიცვალა საშუალოდ დაბალ სიდიდემდე, მას შემდეგ, რაც გადახედილი იქნა შესაბამისი შემარბილებელი ზომები. ეს ასევე განახლებული იქნა დანართი B2
- პოტენციური ზემოქმედება A31-ს ქვეშ შეიცვალა დაღვრებით, რომლებიც ზემოქმედებას

<p>ახდენს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე. ეს ასევე განახლებული იქნა დანართში B2</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰიდროტესტირებისას წყლაში დამაბინძურებლების მოხვედრის შემარბილებელი ზომების გატარების შემდგომი ზემოქმედების სიდიდე შეიცვალა საშუალოდან დაბალ სიდიდემდე, შესაბამისი დამატებითი შემარბილებელი ზომების განხილვის შემდგომ. ეს ასევე განახლებული იქნა დანართში B2 • არაგადამდები დაავადებების შემარბილებელი ზომების გატარების შემდგომი ზემოქმედების სიდიდე და ალბათობა შეიცვალა და განისაზღვრა, როგორც დაბალი. ეს ასევე განახლებული იქნა დანართში B2 • ზემოქმედება A31-ს ქვეშ განახლდა, რატა მკაფიოდ განსაზღვრულიყო ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების ზრდა დასახლებებში • სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ალბათობის ზრდა ბანაკებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში განისაზღვა 6-ით შემარბილებელი ზომების გატარებამდე და 3-ით შემარბილებელი ზომების გატარების შემდგომ <p>შეტანილი იყო დამატებითი შემარბილებელი ზომები, რადგან ისინი გამოყენებულა ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე პოტენციური ზემოქმედებების შესარბილებლად. ეს მოიცავს 33-19-ს, 37-03-ს, 37-05-ს, 30-15-ს, 6-20-ს, 31-06-ს და 19-08-ს.</p> <p>სადაც მილსადენი და CSG2 მისასვლელი გზის მარშრუტი კვეთს ადგილებს, რომლებიც ადგილობრივი დასახლებების მცხოვრებთა მიერ იდენტიფიცირებულია როგორც ადამიანების (მწყემსების ჩათვლით) მიერ ინტენსიურად გამოყენებადი, აღიმართება გამაფრთხილებელი ბარიერები და/ან ნიშნები (20-03).</p>

4.4.10 საკითხის რეზიუმე: ზოგადი გამოხმაურება

<p>საკითხის აღწერა: ეს შენიშვნები გამოხატავს პროექტისადმი მხარდაჭერას.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 309, 310</p>
<p>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა: პროექტი მაღლობას უხდის რესპონდენტებს პროექტისადმი მხარდაჭერის გამოხატვისათვის.</p>

4.4.11 საკითხის რეზიუმე: არსებული BTC და SCP მილსადენების ექსპლუატაცია

<p>საკითხის აღწერა: რამდენიმე შენიშვნა ეხებოდა არსებული BTC და SCP მილსადენების ექსპლუატაციას, მათ შორის დასახლებული პუნქტების ინვესტირების პროგრამასა და ზემოქმედებას მოსავალსა და თაფლის წარმოებაზე.</p>
<p>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს: 270, 273, 295</p>

შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

აღნიშნული შკითხვები დაისვა SCPX-ის ESIA ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის შეხვედრებზე. დაინტერესებულ პირებს განემარტათ, რომ რადგან საჯარო შეხვედრის მიზანი იყო SCPX პროექტის განხილვა, მათი შენიშვნები არსებული მილსადენების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით უნდა წარდგენილი იქნას საჩივრების წარდგენის არსებული მექანიზმის გამოყენებით. BTC და SCP მილსადენებთან დაკავშირებით ნებისმიერი საჩივრის აღსაძრავად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ ექსპლუატაციის ჯგუფის თანამშრომელს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებში, რომელიც ესწრებოდა ყველა შეხვედრას.

დანართი 1: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობიდან მიღებული შენიშვნების სია

ცხრილი 4-4: ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და პასუხები – პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა

შენიშვნა	№	დასახ- ლება	ფორმატი
კასპიის ზღვის რეგიონიდან გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით მომეცით უფლება გამოვხატო ჩემი მოსაზრება: <ul style="list-style-type: none"> • ადამიანები უმუშევრები არიან • ისინი არ იღებენ მიწაზე კომპენსაციას • სად გადის გაზსადენი? • გარემოზე რა ზემოქმედებას გამოიწვევს პროექტი? გთხოვთ გვიპასუხოთ ამ კითხვებზე.	248	წყალთ- ბილა	FF
ადგილობრივი მოსახლეობა პროექტისაგან ელის დასაქმების შესაძლებლობას. გთხოვთ შეისწავლოთ რა ზემოქმედებას მოახდენს პროექტი მოსახლეობაზე 2კმ და 5 კმ რადიუსებში.	249	წყალთ- ბილა	FF
SCPX პროექტისათვის უნდა განისაზღვროს უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები	250	ჯულდა	FF
მე ამჟამად უმუშევარი ვარ, სხვა ბევრის მსგავსად, ვინც ცხოვრობს მილსადენის არსებული ობიექტებიდან 5 კმ რადიუსში. ჩვენ მოვითხოვთ პროექტისაგან დასაქმების შესაძლებლობას.	251	ჯულდა	FF
ჩვენ გვსურს, რომ მოსახლეობა კმაყოფილი იყოს პროექტით, ყველა დასაქმდეს, არ წარმოიქმნას პრობლემები გარემოსთან მიმართებაში და გადახდილი იქნას მიწის კომპენსაციები.	252	წინუბანი	FF
მილსადენის გაფართოება კარგია, თუმცა საჭიროა იმ ადამიანების დასაქმება, რომლებსაც საზღვარგარეთ უხდებათ მუშაობა ოჯახების შესანახად. რა ზემოქმედებას მოახდენს ეს პროექტი ქვეყნის ეკონომიკაზე?	253	წინუბანი	FF
კარგია საქართველოში სხვადასხვა პროექტების განხორციელება, თუმცა სარგებელი არ აღწევს მოსახლეობამდე, რადგანაც მოსახლეობა არ საქმდება ამ პროექტების ფარგლებში.	254	აბათხევი	FF
მოხარული ვარ, რომ ხდება პროექტის გაფართოება, თუმცა საჭიროა ადამიანების დასაქმება, ჯერ ადგილობრივების და შემდეგ სხვების. არ არის ცნობილი, რა ზემოქმედება ექნება პროექტს გარემოზე.	255	აბათხევი	FF
მე ამ პროექტის წინააღმდეგი ვარ, რადგან იგი საშიშია. გაზთან თამაში არ შეიძლება. საჭიროა ზომების დადგენა უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად. ჩვენი თანასოფლელები უნდა დასაქმდნენ.	256	ნაოხრები	FF
ჩვენ ვცხოვრობთ სოფელ ნაოხრებში, რომელიც მდებარეობს მილსადენის სიახლოვეს. მაქვს შემდეგი შეკითხვა – მოახდენს თუ არა გაზი ზემოქმედებას მოსახლეობაზე, ბუნებრივ გარემოზე, ფუტკრებზე და ცხოველებზე?	257	ნაოხრები	FF
ჩვენი საკრებულოდან არავინაა დასაქმებული პროექტში, რატომ	258	ნაოხრები	FF

შენიშვნა	№	დასახ- ლება	ფორმატი
ჩვენი დასახლება მდებარეობს არსებულ ობიექტებთან ახლოს, თუმცა სარგებელი ამ პროექტიდან არ არის, ჩვენი თანასოფლელები დასაქმებულნი არ არიან; მოსახლეობა არ არის კმაყოფილი, რომ გაზსადენი გადის ასე ახლოს. მოახდენს თუ არა ეს მილსადენი ზემოქმედებას გარემოზე?	259	ნაოხრები	FF
ჩვენი თანასოფლელები წყალთბილას ტერიტორიული ორგანოდან არ არიან დასაქმებულნი არსებულ ობიექტებზე, რომლებიც ხდება გაზის ტრანსპორტირება კასპიის ზღვიდან თურქეთსა და ევროპაში. რატომ ხდება ასე? გთხოვთ განგვიმარტოთ.	260	ნაოხრები	FF
საინტერესოა, რატომ არ არის დასაქმებული პროექტში წყალთბილას ტერიტორიული ორგანოს არცერთი მაცხოვრებელი. შეიძლება თუ არა პროექტმა ზემოქმედება მოახდინოს ჩემს სკეზზე, რომლებიც პროექტის ზონასთან ახლოსაა განთავსებული? ზოგადად რა არის სარგებელი? გთხოვთ დაგვასაქმოთ!	261	ნაოხრები	FF
მართალია კარგია, რომ ყოველ დღე ხდება რაღაც ახალი – პროექტები, გაზსადენები... თუმცა სამუშაო ადგილები მაინც არ არის. ჩვენ რატომ არ გვასაქმებენ?	262	ნაოხრები	FF
სოფელი ნაოხრების ახლოს არის გაზსადენი. თუმცა ჩვენ არ გვასაქმებენ. რატომ? ჩვენ ამ პროექტისაგან ვითხოვთ დასაქმებას.	263	ნაოხრები	FF
მე არ მსურს ამ პროექტის განხორციელება. ჩვენ ძალიან ახლოს ვცხოვრობთ გაზსადენთან, შეუძლია მას ჩვენთვის ზიანის მოყენება? ჩვენ გვინტერესებს ამ პროექტში დასაქმება.	264	ნაოხრები	FF
მე არ ვეთანხმები დამატებითი გაზის ტრანსპორტირების იდეას კასპიის ზღვიდან თურქეთის და ევროპის ბაზრებზე. მიზეზი არის ის, რომ წყალთბილას ტერიტორიული ორგანოს (5 სოფელი) მცხოვრებთა დასაქმება ამ სფეროში არ ხდება. ამ სოფლების მცხოვრებნი არ არიან დასაქმებულნი არსებულ ობიექტებზე. ჩვენ არ ვიცით, რა სახის ზემოქმედება მოხდება გარემოზე. სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება კარგია, თუმცა თქვენ ვალდებულნი ხართ განიხილოთ ეს პროცესი საზოგადოებასთან და მიიღოთ მხედველობაში მოსახლეობის აზრი.	265	წყალთ- ბილა	FF
თურქეთის და ევროპის ბაზრებისთვის დამატებითი გაზის ტრანსპორტირების პროექტი განხილული უნდა იქნას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სოფლის ყველა მოსახლე პროექტის წინააღმდეგია. ამის გარდა, ჩვენი ახალგაზრდობა დაუსაქმებელია.	266	ნაოხრები	FF
ჩვენი თანასოფლელი ახალგაზრდები მიდიან საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად, მაშინ როცა აქვე, ახლოს მილსადენის მშენებლობის მიმდინარე პროექტში არის სამუშაო ადგილები. რატომ არ ასაქმებთ ადგილობრივებს?	267	წყალთ- ბილა	FF
რა მანძილზე აშენდება CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზა სოფელი აიაზმიდან? სად დასრულდება გზა?	268	ყოფილ- ქილისა	PM (TS)
CSG2 სადგურამდე მისასვლელი გზა გადაკვეთს სოფელ რეხას?	269	ყოფილ- ქილისა	PM (TS)
წარსულში განხორციელებულ პროექტებში ნახევარ მილიონზე მეტი იყო ჩადებული სოციალური დახმარებისთვის, თუმცა არაფერი გაკეთებულა	270	ყოფილ- ქილისა	PM (TS)

შენიშვნა	№	დასახ- ლება	ფორმატი
ჩვენი მოთხოვნაა ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავება, წინა პროექტების ფარგლებში ჩვენი სოფლიდან დასაქმდა 200-ზე ნაკლები ადამიანი.	271	ციხილ- ქილისა	PM (TS)
მანქანები მოძრაობენ ჩვენი მიწის ნაკვეთებზე. მანქანები აზიანებს ჩვენს სათიბებს.	272	ციხილ- ქილისა	PM (TS)
როცა BP იწყებდა თავის საქმიანობას, სოფელი აშკალას ადგილობრივი მოსახლეობა უარყოფითად განეწყო პროექტის მიმართ. BP-ის დაპირების მიხედვით სოფელი მიიღებდა დიდ სარგებელს. თქვენ დანაპირები არ შეასრულეთ. ჩვენ აღარ ვენდობით თქვენ კომპანიას.	273	აშკალა*	PM (TS)
გთხოვთ უზრუნველყოთ გაზის მოწოდება ჩვენს დასახლებებში	274	აშკალა*	PM (TS)
2011 წელს კვლევები ჩატარდა სოფელ ხანდოში. აუცილებელი საჭიროების გამოვლენისას სოფლებში ციხილქილისა, ბურნაშეთი და ხანდო გაირკვა, რომ სოფლებს ესაჭიროება გზა. იყო დაპირება გზის მშენებლობის შესახებ. რატომ შეიცვალა ეს გადაწყვეტილება? მე არ ვიცი რომელი ორგანიზაცია აწარმოებდა კვლევებს, თუმცა ისინი დაგვიპირდნენ, რომ გზა გაკეთდებოდა 5 სოფლიდან ერთ-ერთში. გამგებელმაც იგივე დაადასტურა.	276	ხანდო	PM (TS)
წალკაში იქნება თქვენი ოფისი?	277	წალკა*	PM (TS)
მე მაინტერესებს გჭირდებათ თუ არა სპეციალისტები? ჩვენ გვყავს გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტები. მაინტერესებს, რატომ აქვთ უცხოელებს უფრო მაღალი ხელფასი, ვიდრე ადგილობრივებს?	278	წალკა*	PM (TS)
პროექტის მისასვლელი გზა კვეთს ჩვენი სოფლის წყალსადენს, რომელიც გაზსადენის ქვეშაა. გაზსადენი 500 მ დაშორებით არ უნდა აშენებულიყო?	281	კუმი	PM (TS)
რა ფაქტორები იქნა მიღებული მხედველობაში გზის დაპროექტებისას? გზა მსხვილი პროექტის ნაწილია, თქვენ კი გზას აკეთებთ მხოლოდ ერთ სოფელში. ჩვენ გვჭირდება გზა ავრანლომდე. თუ თქვენ ააშენებთ დამატებით 2კმ-ს ავრანლომდე, ჩვენც იგივე გზას გამოვიყენებთ.	284	რეხა	PM (TS)
მე ვარ ექთანი, ეროვნებით ბერძენი. არის ჩემთვის პროექტში დასაქმების შესაძლებლობა?	286	უცნობი	PM (TS)
არსებული მილსადენის სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ 10 აშშ დოლარის კომპენსაცია მივიღე. ეს არარეალური ფასია.	287	აშკალა*	PM (TS)
ჩვენ დაგვიპირდნენ, რომ BP ააშენებს ახალ გზას და ახლა ამბობთ, რომ ეს ასე არ მოხდება. პროექტის დაგეგმვისას თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ადგილობრივების ინტერესები.	288	რეხა	PM (TS)
მე ვმუშაობდი BTC პროექტში. მაქვს ამ პროექტში დასაქმების შანსი?	289	წალკა*	PM (TS)
შეძლებენ ადგილობრივები გზის გამოყენებას?	290	წალკა*	PM (TS)
როდის დაიწყება მუშახელის შერჩევის პროცესი?	291	წალკა*	PM (TS)
როგორ უნდა მიმართოს კვალიფიციურმა მუშახელმა კომპანიას და რა სახის შერჩევა ჩატარდება?	292	წალკა*	PM (AK)
მიწის კომპენსაციის ანაზღაურება წინასწარ ანგარიშდება? ექნება მიწის მფლობელს შესაძლებლობა არ დაეთანხმოს	293	წალკა*	PM (AK)

შენიშვნა	№	დასახ- ლება	ფორმატი
შემოთავაზებულ ფასს?			
როგორია მიწის კომპენსაციის პროცედურა იმ ნაკვეთებისთვის, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია? ჩვენ სახელმწიფო მიწას ვიყენებთ სათიბად. ჩვენ ასევე მივიღეთ დაპირება, რომ კომპენსაციას მივიღებდით 10-20 წელი, თუმცა ეს ასე არ მოხდა.	294	ნაოხრები	PM (AK)
მილსადენი ახდენს უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე. კერძოდ, მილსადენის გამო შემცირდა ხორბლის მოსავალი და რძის წარმოება, ასევე შემცირდა კარტოფილის მოსავალი და სკების რაოდენობა. ამ დანაკარგების კომპენსაცია ჩვენ არ მიგვიღია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მილსადენი არ მოახდენდა უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე, თუმცა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვიგრძენით უარყოფითი შედეგები. გთხოვთ გამოაგზავნოთ სპეციალური კომისია ამ საკითხების შესასწავლად.	295	ნაოხრები	PM (AK)
ჩვენ მივესალმებით ახალი (CSG2 სადგურამდე მისასვლელი) გზის მშენებლობის პროექტს, თუმცა არის რამდენიმე საყურადღებო საკითხი: 1. გზამ უნდა გადაკვეთოს მარშრუტი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ საქონლის გადაადგილებისთვის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქონლის შეფერხებული გადაადგილება უარყოფითად იმოქმედებს სოფელზე 2. ახალი გზა ასევე გადაკვეთს სოფლის წყალსადენს; გთხოვთ გადაამოწმოთ ეს ინფორმაცია, რომ არ შეიქმნას პრობლემები მომავალში 3. მომავალში დაგეგმილია სოფლის გაზიფიცირება; ახალი გზის მშენებლობა იგეგმება სოფლის გაზსადენის ქვეშ. გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს ფაქტი, რომ არ მოხდეს შემდგომი გაუგებრობები.	308	კუში	FF
ჩვენ დადებითად ვართ განწყობილი პროექტის მიმართ, რამდენადაც პროექტი არ ახდენს ძლიერ უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. პირადად მე მაქვს მიწის ნაკვეთი პროექტის განხორციელების ადგილთან ახლოს, თუმცა არ ველი რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას.	309	კუში	FF
მივესალმები პროექტს, რადგანაც ვთვლი, რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოსა და მიწაზე არ არის მოსალოდნელი. და აქვე ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში მივიღებთ გაზს.	310	კუში	FF
FF = შენიშვნის მიწოდების ფორმა; PM = საჯარო შეხვედრა (TB) = თბილისი; RU=რუსთავი; TS = წალკა; AK = ახალციხე			

* ამკალა და წალკა არ წარმოადგენენ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს.

დანართი 2: დაცული ტერიტორიების სააგენტოს პასუხი

საქართველოს გარემოს დაცვის სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაცული ტერიტორიების სააგენტო

№: 535

2012 წლის 9 აგვისტო

[სახელი და გვარი ამოღებულია კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით]
ჯგუფის ხელმძღვანელი მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის
საკითხებში
სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანია

ბატონო / ქალბატონო [სახელი ამოღებულია კონფიდენციალურობის
დაცვის მიზნით]

თქვენი 2012 წლის 6 აგვისტოს № SCP/OUT/118/12 წერილის პასუხად, რომელიც
ეხებოდა BP-სა და მისი პარტნიორების მიერ სამხრეთ კავკასიური მილსადენის
გაფართოების პროექტის განხორციელებას, გაცნობებთ, რომ თქვენ წერილზე
თანდართული მასალის თანახმად, ახალი მილსადენი 5.5 კმ-ითაა დაშორებული
გარდაბნის აღკვეთილიდან და 10.7 კმ-ით - ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილიდან.

პატივისცემით,

[ხელმოწერილია]

[სახელი ამოღებულია კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით]

თავმჯდომარის მოადგილე